9
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ., № 14 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. წონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

— იაპონიის პროლეტარიატი მოით[illegible]კუაციას რუსეთის ტერიტორიიდან.
— საფრანგეთში საგაფიცვო მოძრაობა იზრდება.
— მუდანის კონფერენცია 3 ოქტომბერს გაიხსნა.
— მუდანის კონფერენციაზე ოსმალეთი მოითხოვს აღდგენილი იქნეს ოსმალეთის 1916 წლის საზღვრები.
— ირლანდიაში კვლავ დაიწყო ამბოხებები.

№ 229 პარასკევი, 6 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 229

ორშაბათს, 9 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე შესდგება კრებები

კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების

სექციებისა.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ თავის დროზე.

(3—1) მდივანი: **ხუნდაძე.**

რუსეთი და იაპონია

მთელი ჩვენი ყურადღება კვლავ მიპყრობილია ახლო აღმოსავლეთისაკენ. და ეს სავსებით გასაგებია: იქ ხდება ისეთი ამბები, იკვანძება ისეთი ხლართები, რასაც შეიძლება შედეგად მოყვეს საერთაშორისო მდგომარეობის ძირიან ფესვიანად შეცვლა.

მაგრამ არის სხვა ადგილებიც და მოვლენებიც, რომლებიც მუშათა კლასს მხედველობიდან არ უნდა გამოეპაროს ყურადღების ასეთი ფიქსაციის დროსაც.

ამ ჟამად ჩვენ სახეში გვაქვს იაპონიის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთსა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან.

კარგა ხანია ჩაბარდა განუმეორებელ წარსულს ის დრო, როცა სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეულ რუსეთს ესეოდენ მოსაზღვრე სახელმწიფოები და დაუსჯელად ეპატრონებოდნენ საბჭოთა მიწა წყალს და ქონებას.

მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ შინაური კონტრ-რევოლიუცია საბოლოოდ დაამარცხა, სხვა სახელმწიფოების შემოსეული ურდოებიც გარეკა და აგრძნობინა მათ, რომ შესწევს საკმაო ძალა თავის სახელმწიფოებრივობის და საზღვრების დაცვისათვის. ბევრი ამ სახელმწიფოთაგანი, ცხვირ-პირ გასწორებული წითელი არმიის ხიშტით, ველარ ბედავს რუსეთზე კვლავ გამოლაშქრებას, ზოგიერთი მათგანი კიდეც დაადგა ან ადგება რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის გზას. ერთი ასეთი იმპერიალისტური ქვეყანა, რომელმაც რუსეთს გაჭირვების დროს ზურგში ლახვარი ჩასცა, იყო იაპონია. მან მაშინ ოკუპაცია უყო სახალინის რუსულ ნაწილს, დაიკავა რუსეთის მოკავშირე შ. ა. რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილი. იაპონია დაპყრობილ რაიონებში ხელს უწყობდა კონტრრევოლიუციონურ ბანდების გაჩენას და ორგანიზაციას, და ეს ბანდები მოსვენებას არ აძლევდნენ შორეულ აღმოსავლეთის მშრომელ მოსახლეობას და იაპონიის ჯარებთან ერთად აუწერელ სიმხეცეს ჩადიოდნენ მაზე.

შორეულ აღმოსავლეთის შეიარაღებულ ხალხმა იარაღი აისხა ბანდების და ოკუპანტების წინააღმდეგ, პარტიზანული ომი აუტეხა მათ, მთელ რიგ ბრძოლებში სასტიკი დამარცხება აწვნევია. შედეგად ამას მოყვა დაპყრობილ აღმოსავლეთ ტერიტორიის ნაწილის განთავისუფლება იაპონელებისაგან და შ. ა. რესპუბლიკასთან ერთგვარ შეთანხმების დამყარებას.

საფიქრებელი იყო, რომ იაპონიის მთავრობა, ამის და საერთოდ რუსეთის სასარგებლოდ საგრძნობლად შეცვლილ საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შემდეგ, შეიგნებდა დიდ საბჭოთა რესპუბლიკასთან მტრულ დამოკიდებულების მავნებლობას თავისთვის, ლიკვიდაციას უზამდა თავის ძველ ნამოქმედარს და აღადგენდა მასთან ურთიერთობას, ორივე მხარისათვის სასარგებლო და მისაღებ პირობებზე.

ეს მიზანი უნდა ჰქონოდა ჩანჩუნის კონფერენციას, რომელიც ამას წინედ გაიმართა.

მაგრამ კონფერენციის მსვლელობამ და იმ პოზიციამ, რომელიც მასზე იაპონიის დელეგაციამ დაიჭირა, ცხადყო, რომ იაპონიის მთავრობა ისევ ძველი იმპერიალისტური ზრახვებით სულდგმულობს.

მან უარი განაცხადა სახალინის ევაკუაციაზე, მან არ იკისრა ის ვალდებულებაც, რომ საბჭოთა ფედერაციას იარაღით არ დაესხმის თავზე. იაპონიაში ჯერ კიდევ გაბატონებულია უკიდურესი სამხედრო კასტა, რომელიც ანგარიშს არ უწევს თავის ქვეყნის გონივრულად გაგებულ ინტერესებს, მით უმეტეს მეზობელ ქვეყნების ინტერესებს და უფლებებს. იაპონიის მთავრობას სურს შეინარჩუნოს რუსეთის უდავო ტერიტორია, სახალინი, ეს უდიდესი ეკონომიური და სტრატეგიული პუნქტი. ამაზე რა თქმა უნდა, საბჭოთა რესპუბლიკა ვერ დასთანხმდებოდა, და კონფერენციის მუშაობაც შეწყდა.

იაპონიის მთავრობის პოზიცია მაჩვენებელია არა მარტო მისი მტაცებლურ ბუნების, არამედ იმისაც, რომ მას ჯერ კიდევ კარგად არა აქვს გათვალისწინებული აღორძინებული რუსეთის ძალა, აგრედვე დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობაც.

უკანასკნელ ფაქტების მიხედვით, ახლობელ დროის საქმეა რუსეთ ჩინეთ შორის მეგობრულ და ნორმალურ დამოკიდებულების ჩამოგდება. მეორე მხრივ ხდება გარდატეხა რუსეთის სასარგებლოდ ამერიკის საზოგადოებრივ წრეებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილების თანახმად, რომელზედაც იაპონიასაც უწერია ხელი ამერიკა ვერ შეურიგდება იაპონიის გავლენის კიდევ უფრო გაფართოვებას შორეულ აღმოსავლეთში. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს თვით იაპონიაში იზრდება მუშათა მოძრაობა, რაც უეჭველად შეკვეცავს იმპერიალისტების უსაზღვრო მადას.

ყველა ეს გარემოებები, რუსეთის სიძლიერესთან ერთად, იმას მოწმობს, რომ იაპონია დღეს თუ ხვალ, მაგრამ მაინც იძულებული გახდება ხელი აიღოს რუსეთის მიმართ აშკარა მტაცებლურ პოლიტიკაზე და მისთვის მისაღებ პირობებზე დასთანხმდეს.

თუ კი იაპონიის მთავრობა მაინც ჯიუტობას და შეურიგებლობას გამოიჩენს, რუსეთს საკმაო ძალა შესწევს შორეულ აღმოსავლეთიდან შესაძლებელი საფრთხე ძირშივე ჩაკლას.

ამასთან ეს გამოიწვევს იაპონიის დამოკიდებულების გამწვავებას მეზობელ სახელმწიფოებთან (ამერიკა, ჩინეთი) და ეკონომიურად გარიყავს მას რუსეთის მდიდარ ბაზრიდან. ეს იაპონიას მხოლოდ ზიანს მოუტანს. ამიტომ არა გვგონია, რომ იაპონიამ გაბედოს ახალი ავანტიურის დაწყება. ყოველ შემთხვევაში რუსეთი სამისოდ მზად არის.

მენშევიკების საქმენი საგმირონი

დაუჯერებელ ძალდატანებამ, ცარცვა გლეჯამ და აწიოკებამ, რომელსაც ვითომდა სჩადიან მოძალადე-ბოლშევიკები საქართველოში, მოთმინებიდან და წონასწორობიდან გამოიყვანეს ქართველ ხალხის არა მკითხე აპეკუნი—მენშევიკები. ნაზი სიყვარულით და მამობრივი მზრუნველობით ალსავსე მათ გულს—არ შეუძლია აიტანოს დაუმსახურებელი შეურაცყოფა, რომელსაც აყენებენ ქართველ ხალხს „ბუნებრივი რეციდივისტები", ძველი ჟანდარმების არქივებიდან გამოჩხრეკილ საშუალებით, რათა საბოლოოდ გასთელონ ყველაფერი ის, რასაც ოდნავ მაინც დარჩენია ნაციონალური და დემოკრატიული ელფერი, რათა უფრო მეტი მკაცრი რეპრესიებით თავს დაატყდეს ქართველი ხალხის „საუკეთესო შვილებს".

და აი მენშევიკების ცეკა და მათი ახალგაზრდა მოწაფეები მიმართავენ „დამონებულ" ქართველ ხალხს და მოუწოდებენ შურის ძიებისაკენ საბოლოო გამარჯვებამდე, **არ დაჰყაროთ იარაღი მანამ, ხანამ არ დაახამარებთ ოკუპანტებს**".

მართლაც, მენშევიკები უფრო „გამბედავები" გახდენ! ისინი უკვე აღარ აფრთხილებენ „მშრომელებს" ყოველგვარ ავანტიურისაგან, პირიქით ისინი სცდილობენ მისცენ მას მეტი სიცხოველე, გააფართოვონ და დაასაბუთონ მისი შინაგანი აზრი და მნიშვნელობა და განა დამახასიათებელი არ არის ეს, რომ მენშევიკები არ მოუწოდებენ მშრომელებს **შეიარაღებისაკენ, არამედ მოუწოდებენ არ დაჰყარონ იარაღი ვიდრე და სხვა!**

რამდენად რეგვენები არიან ხალხის ეს აპეკუნები როდესაც ისინი ლაპარაკობენ ისეთი პათოსით სამშობლოს და ბრძოლის შესახებ, და როდესაც ისინი თავისი სირეგვენით ააშკარავებენ თავის თავს! რას ნიშნავს იარაღის არ დაყრა?—ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა იმას, რომ ეს იარაღი აღმართულია. ვის მიერ არის აღმართული ეს იარაღი, საითკენ მოუწოდებს მენშევიკების, ძველების და ახალგაზრდების ცეკა? თავზე ხელაღებულ თავადებს, რევოლიუციის მიერ შეურაცყოფილ ბატონებს, რომლებიც ჩამოგდებულნი არიან, თუმცალა ნახევრად შიშველნი, მაღალ პიედესტალიდან, რომელთაც არ ასვენებს პერასტრატეს დაფნის გვირგვინი. მათ შეუერთდა ყოფილ ყაჩაღების, ხაზინის მძარცველთა ბანდა, რომელნიც გაურბიან სამართლიან სასჯელს. და თურმე ეს თავის შემადგენლობით შეუდარებელი „ბრბო" არის „ქართველი ხალხი" რომელსაც მოუწოდებენ არ დაჰყარონ იარაღი და იბრძოლონ საბოლოვო გამარჯვებამდე.

ამ ბრბოს ავალებენ მენშევიკები საქართველოს განთავისუფლებას მოძალადეებისაგან და დემოკრატიულ კეთილდღეობის დამყარებას. ამ ბრბოს დაევალა პროვოკაციაში გაეხვია ყველაზე უფრო ჩამორჩენილი მცხოვრებნი (როგორც ხევსურები), რათა მოტყუილებით გამოეყვანათ ისინი იარაღით ხელში და გამოეყენებიათ თავის ინტერესებისათვის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩამორჩენილ ხევსურებსაც შეუძლიათ შავის თეთრისაგან გარჩევა, რასაც არ მოელოდენ „საუკეთესო შვილები", და გამოჩენილი ნაციონალ-დემოკრატი, სიმონ ყიფიანი, რომელიც ოცნებობს გარიბალდის და ქემალ ფაშას სახელზე, დაძრწის რა ჩოლოყაშვილთან ერთად ერთ ბუნაგიდან მეორეში, არ სთვლიდა ხევსურებს ასე შეგნებულად!

მენშევიკები ამდენ ხანს ტყუილად ფარავდენ იმას, რომ ისინი ალფრთოვანებენ თავადების, რეციდივისტების და საგმირო საქმეების მაძებარ თავადების ბრბოს, თუმცა ჩვენ მათ ამაში ვააშკარავებთ. და ეს არის დამახასიათებელი: ჩვენ ხომ არასოდეს არ ვფარავდით ჩვენ მონაწილეობას გლეხთა აჯანყებებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში, როდესაც მენშევიკები იყვენ სახელმწიფოს სათავეში; ჩვენ ხომ აშკარად ვამბობდით, რომ გლეხები მოგვყვებიან ჩვენ, და არავითარმა რეპრესიებმა, რომელსაც მუდამ მიმართავდენ ხოლმე ჯუღელი და რამიშვილი, ვერ შესძლო ჩაეშალა ჩვენი ერთობა მშრომელებთან. რას სჩადიან მენშევიკები?—**მათ რცხვენიათ ხმა მაღლა** აღიარონ, რომ ისინი ასულდგმულებენ ბანდიტებს, სთვლიან რა მათ ქართველ ხალხათ, ვინაიდან იციან, რომ მათ სულერთია არავინ დაუჯერებს, ხოლო პროვოკაციისათვის უფრო მიზანშეწონილია საქმე აკეთონ მაგრამ დაფარონ თავისი ბნელი საქმეები. და აი ისინიც ფარავენ. მაგრამ, შესაძლოა, მენშევიკებს ეშინიათ იმისი, რომ მათ თავს დაატყდებათ რეპრესიები, თუ ისინი გამოაშკარავებენ თავის ფიზიონომიას? შესაძლოა, მაგრამ რატომ ჩვენ არ გვეშინოდა ამ რეპრესიებისა, როდესაც ჩვენ ვაფრიალებდით მაღლა აჯანყების დროშას მენშევიკების წინააღმდეგ? იმიტომ რომ ჩვენ მოგვყვებოდენ მასები და ჩვენ არ გვაშინებდა მათთან ერთად ყოფნა.

ამოსწურეს რა ყველა კანონიერი და უკანონო საშუალებანი, რათა დაერწმუნებიათ საქართველოს მშრომელები—რამდენად საზიფათოა მათთვის ბოლშევიკური რეჟიმი, მიიღეს რა ყოველ გვარი ზომები რათა აღემართათ აჯანყების დროშა ოკუპანტების ბოლშევიკების წინააღმდეგ, თავი მოაბეზრეს რა საზღვარ გარეთ ყველა გავლენიან პირებს, ითხოვდენ რა ომის გამოცხადებას საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ—მენშევიკების ცეკა გვაცნობებს ჩვენ, რომ თვითეულ დაღუპულ ხალხის შვილისათვის, უკანასკნელი **ერთი ათად და ერთი ასად აგებინებს პასუხს ხალხის გამცემლებს** და არაფრით არ დაზოგავს მათ, და რომ „**ეს არ იქნება ცარიელი სიტყვები, ეს იქნება რეალური საქმე**".

საქმე მუქარაზე მიდგა, და ეს მუქარა არ იქნება ცარიელი სიტყვა. „ქართველი ხალხი", ე. ი. მენშევიკური ლექსიკონით, ჩოლოყაშვილის ბანდა, თვით მენშევიკები და დანარჩენი კონტრრევოლიუციონერები გადაგვიხდის სამაგიეროს ქართველების ტანჯვა-წამებისათვის.

აი რას გეტყვით ძვირფასნო,—დაანებეთ თავი თქვენს მუქარას, ვინაიდან ჩვენი „მოძალადეების და რეციდივისტების" შეშინება ძნელია, და რაღა მოძალადეები ვიქნებით ჩვენ, თუ ჩვენ შეგვეშინდება თქვენი სუსტი ყვირილის და მუქარის. დაანებეთ თავი თქვენ საწყალ ტიტინს მუქარას შესახებ, თორემ თქვენ მიიყვანთ საქმეს იქამდის, რომ თქვენ კი არ **დაგხოცავენ, არამედ გცემენ**, ყოველ ფეხის გადადგმაზე, როდესაც თქვენ გაბედავთ პროვოკაციის და დემაგოგიის გამოჩენას, და თქვენ გცემენ არა ხელისუფლება და კომუნისტები, არამედ უმთავრესად მუშების და გლეხების უპარტიო მასები, რომელნიც თქვენ გსურთ შეიყვანოთ შეცდომაში პათეტიურ ფრაზეოლოგიით თავისუფალ საქართველოს და მისი ოკუპანტების ბრჭყალების განთავისუფლების შესახებ.

ნუ დაგვემდურებით მაშინ და ნუ გვთხოვთ შებრალებას, ვინაიდან მართლადაც „თქვენი შებრალება აღარ იქნება" და არც არავინ იფიქრებს გვთხოვოს ჩვენ არ გცემოთ თქვენ ასე სასტიკად.

ლ. ალნიაშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის მე-2 სესია

მესამე სხდომა

სესიის მესამე სხდომა გაიხსნა გუშინ, 5 ოქტომბერს, ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

თანახმად მიღებული დღის წესრიგისა მორიგი კითხვა, რომელიც უნდა განეხილა ამ სხდომას შეეხებოდა სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის პროექტს.

როგორც ჩვენ გაზეთშიაც იყო მოხსენებული, მის გასარჩევათ არჩეული იყო სპეციალური კომისია, რომელსაც ჰქონდა რამოდენიმე სხდომა. მასზე იქონია მსჯელობა სესიის კომუნისტურმა ფრაქციამაც.

საკითხის მდგომარეობის შესახებ სესიის პლენუმზე მოკლე მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, ამხ. ეშბამ, რომელმაც გააცნო კრებას მთელი სირთულე საკითხის და ის სიძნელენი მის გადასაჭრელათ, რომლებიც გამოირკვა პროექტის დაწვრილებითი გარჩევის პროცესში. ამიტომ კომისიისა და ფრაქციის სახელით მან წინადადება მისცა კრებას მოიხსნას ის სესიის დღის წესრიგიდან და დაევალოს აღმასკომის პრეზიდიუმს ხელახლა დაწვრილებით და უფრო მდიდარი მასალით ხელში გაარჩიოს საკითხი და გამოსცეს სათანადო დეკრეტი. სხდომამ ერთხმათ მიიღო ეს წინადადება.

დღის წესრიგის შემდეგი კითხვა შეეხებოდა ბორჯომის რაიონის ცალკე მაზრათ გამოყოფას. ამისა და მის შემდეგი საკითხის (შორაპნის მაზრის ცენტრის ჭიათურაში გადატანა) გასარჩევათ ამორჩეული იყო კომისია. პირველი საკითხის სირთულის გამო კომისიამ ვერ მოასწრო ჯერ სავსებით მისი ამოწურვა და თავმჯდომარე ამ კომისიის, რომელსაც მიეცა სიტყვა, ამხ. მამია ორახელაშვილი, შეეხო მხოლოდ შორაპნის მაზრის ცენტრის საკითხს. თავის მოკლე, მაგრამ შინაარსიან მოხსენებაში ამხ. მამია შეჩერდა როგორც კონკრეტიულათ ამ საკითხზე, ისე იმ პრინციპზე, რომლის მიხედვით უნდა ხდებოდეს საბჭოთა რესპუბლიკაში ადმინისტრატიულ რაიონებათ დაყოფა. ამ პრინციპის თანახმათ უნდა შევუდგეთ ჩვენც მომავალში ახალი ადმინისტრატიული ხაზების გავლებას. ამ პრინციპის მიხედვით ადმინისტრატიული ცენტრი რაიონის უნდა მოეწყოს იქ, სადაც უფრო მოგროვილია საწარმოო ენერგია მისი და ამიტომ ძლიერია მშრომელთა ხელისუფლების დასაყრდენი სოციალური ბაზაც. ასეთია ამ შემთხვევაში ჭიათურა ზესტაფონთან შედარებით და ამიტომ ცენტრიც უნდა იქნეს გადატანილი ჭიათურაში. მაგრამ თუ ასეთი გადაჭრა საკითხის გააძნელებს მდგომარეობას რომელიმე რაიონისას, მაგ. ხარაგოულისას, და ამ უკანასკნელისათვის დაუმხარი გამოდგება პრაქტიკულათ კავშირი ჭიათურასთან, სესია ავალებს აღმასკომის პრეზიდიუმს გამოჰყოს ხარაგოულის რაიონი ცალკე ერთეულათ თავის საქმეების უფრო ადვილათ მოსაგვარებლათ. კრებამ ერთხმათ მიიღო კომისიის წინადადება.

კრება გადაიდო დღეისთვის.

დელეგატებს კვლავ დაჟინებით სთხოვენ ეკრიბებოდნენ სწორ ათ საათზე, რეგლამენტის თანახმათ.

მაშ როგორ მოვაწყოთ სახელმწიფოებრივი ვაჭრობა?*)

წერილი სახელმწიფოებრივ ვაჭრობის მოწყობის შესახებ პასუხს იწვევს ამხ. ავაქოვის მხრით, რომელიც ამტკიცებს, რომ საჭიროა როგორმე მოწესრიგდეს შინაგანი ვაჭრობა, სახელმწიფომ თავის ხელში აიღოს მთელი სავაჭრო აპარატი და დაეუფლოს ბაზარსა. ვაჭრობის მოწესრიგება და ბაზრის ხელში ჩაგდება რასაკვირველია საჭიროა, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ესა, აი კითხვა, რომელიც გადაჭრილ უნდა იქნას. ადვილია ლაპარაკი ბაზრის ხელში ჩაგდების საჭიროებაზე, სამაგიეროდ ბევრად ძნელია ამ ლოზუნგის განხორციელება. ამისათვის საჭიროა მძლავრი აპარატი საკმარისი საშუალებებით. ეს საშუალებანი კი არ არის. ამაზე ამხ. ავაქოვი გაკვირვებით კითხულობს: „ნება მოგვეცით გავიგოთ, ცალკე სამეურნეო კომისარიატებმა და კერძოდ სახალხო სასურსათო კომისარიატმა საიდან იშოვა საშუალებანი თავის ოპერაციებისათვის? ამ საშუალებებს იძლევა მთავრობა, ვინაიდან ცხადია, კომისარიატებს არ აქვთ თავისი მემკვიდრეობითი უძრავი საშუალებანი". პირდაპირ არ მსურს დავიჯერო, რომ ასეთის მსჯელობით პრესაში გამოდის სწორეთ ის ამხ. ავაქოვი, რომელმაც კარგად იცის, რომ სახალხო სასურსათო კომისარიატს თავის ოპერაციებისათვის მთავრობისაგან არავითარი საშუალებანი არ მიუღია და არც იღებს. სახალხო სასურსათო კომისარიატს თვეში ეძლევა ორ მილიარდ ნახევრამდე მანეთი, ხოლო თვიურად რიგდება ულუფები, ღირებული 30 მილიარდზე მეტი. 15 მილიარდამდე ღირს ულუფა უფროდ, რომელიც გროვდება სასურსათო გადასახადის გზით. სად არის ის საშუალებანი, რომელიც საჭიროა საკომერციო ოპერაციებისათვის? ეს საშუალებანი არ არის. ეს კიდევ არაფერი. საყურადღებოა ის, რომ ჩვენი კრიტიკოსის აზრით სახალხო სასურსათო კომისარიატის საკომერციო ოპერაციები და ერთი მაღაზია მოწმობს, რომ არის აპარატი, რომელსაც შეუძლიან დაეუფლონ ბაზარს. სწორედ ამიტომ ნაადრევია ლაპარაკი სპეციალურ აპარატის შექმნაზე. ასეთი აპარატი ბაზარზე ზეგავლენას ვერ მოახდენს და მხოლოდ ქაღალდზე იარსებებს. მთელს თავის საკომერციო ოპერაციებს სახალხო სასურსათო კომისარიატი აწარმოებს იმ შვიდი მილიარდი მანეთით, რომელიც მიიღო სახელმწიფო ბანკიდან. ასეთი გზით მუშაობის წარმოება არც ამხ. ავაქოვისათვის არის აკრძალული. ცალკე სამეურნეო კომისარიატებს საშუალება უნდა მიეცეს განავითარონ თავიანთი ოპერაციები ამ გზით, რათა შემდეგ, საკმაო თანხის მოგროვების შემდეგ შეიძლებოდეს ლაპარაკი სპეციალურ სავაჭრო აპარატის შექმნაზე, ცალკე, ან რომელიმე კომისარიატთან. სულ სხვა საქმეა ვაჭრობის მოწესრიგება. მაგრამ ამისათვის სრულიად საკმარისია მუშაობაში მიზიდვა ეკონომიურ საბჭოსი, რომელიც უნდა მისდევდეს სახელმწიფოებრივ ვაჭრობის გეგმის შემუშავებას და ურთიერთობათა მოგვარებას როგორც სახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის, ისე ამ უკანასკნელთა და კოოპერაციის შორის. ყველანი, ამხ. ავაქოვის გამოკლებით, რომელნიც ამ მწვავე საკითხს ეხებიან პრესაში, ამგვარსავე აზრს გამოსთქვამენ. საერთოდ და მთლიანად აღიარებულია პრინციპი საგანგებო კომისიის შექმნისა ეკონომიურ საბჭოსთან, ამხ. ავაქოვს კი მიაჩნია შეუძლებლად და დაუშვებლად „ეკონომიური საბჭოს—ამბობს ის—რომელიც განაგებდეს მხოლოდ ვაჭრობის საკითხს, არა აქვს მუდმივი სამუშაო აპარატი მუდმივის ხელმძღვანელებით". ეტყობა, ამხ. ავაქოვი საქმეში ჩახედული არ არის. ის, ვინც კამათის დაწყებას ფიქრობს სახელმწიფოებრივ ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის გამო, ვალდებულია, წინასწარ შეისწავლოს, თუ როგორ არის ეს საკითხი დაყენებული და გადაჭრილი რუსეთში, ამის შემდეგ კი უნდა შეიმუშაოს საკუთარა გეგმა ჩვენის სინამდვილის შესაფერისად. საჭიროა ამ მხრივ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ „ეკონომ. ჟიზნის" (№ 183) მეთაურს, სადაც ვკითხულობთ: „სულ ამას წინად ეს საკითხი ხელახლა განხილულ იქნა ისეთს ავტორიტეტულ კომისიაში, როგორიც არის ამხ. **ტროცკის** კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მთელის ვაჭრობის ხელმძღვანელობის გაერთიანება და ამ საბჭოში შეყვანა შინაგან ვაჭრობის კომისიებისა აღიარებულ იქნას არა მიზანშეწონილად. ესევე შეხედულობა გაიზიარა რესპუბლიკის ყველა ხელმძღვანელმა ორგანომ. აგრედვე მოიწონა ამას წინად გამართულმა ეკონომიურ საბჭოს თათბირმა, რომელმაც უკვე არსებულის დასამატებლად „უფლება" აღიარა იმისი, რომ ეკონომიურ საბჭოსთან არსებობდეს ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისიები".

ასეთ უცნაურ დასკვნამდე თურმე მარტო მე კი არ მივედი, არამედ ამხ. ტროცკის კომისიაც. ამ წერილიდან ამხ. ავაქოვმა ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს. რომ რუსეთში სახელმწიფოებრივს ვაჭრობას აწარმოებენ სახელმწიფოებრივ ორგანოები, სახელმწიფო ბანკი, კოოპერაცია და სხვა. ნუ დაივიწყებთ წინასწარმეტყველებას—ვკითხულობთ ამავე წერილში —თუ როგორ განვითარდება შემდეგში: გაიზრდება ეს კომისია და სპეციალურ კომისარიატად გადიქცევა, თუ იგი გარდაიქმნება საგარეო და საშინაო ვაჭრობის მთლიან კომისარიატად და სხვა. საშინაო ვაჭრობის კომისიის უმნიშვნელოვანეს კორექტივს წარმოადგენს დაწესებულება, რომელიც შეეფერება ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კომისიას. და ეკონომიური საბჭოც უნდა სცდილობდეს, რომ მთელის ვაჭრობის მოწესრიგების ფუნქციები ამა თუ იმ ტერიტორიაზე თავის ხელიდან არ გაუშვას.

აი რა მხრით უდგებიან საქმეს ჩვენი უფრო გამოცდილი ამხანაგები. თუ ნაადრევია ლაპარაკი ცალკე კომისარიატის შექმნაზე რუსეთში შინაგან ვაჭრობის მოსაწესრიგებლად, მით უფრო შეუსაბამოა იდეა ასეთის კომისარიატის სასწრაფოთ შექმნისა ჩვენის სინამდვილის პირობებში. ამას ვამბობდი ჩემს წერილში და ვასაბუთებდი მასალით ჩვენის გამოცდილებიდან. მდგომარეობა ორკეცდება არა იმიტომ, რომ ვაჭრობის კომისარიატი არა გვაქვს და არც იმიტომ, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს არ აქვს მინიჭებული ვაჭრობის მონოპოლიური უფლებანი, არამედ იმიტომ, რომ არ არის ორგანო, რომელიც სახელმწიფოებრივ ვაჭრობას უნდა აწესრიგებდეს. ამიტომ ეკონომიურ საბჭოსთან უნდა დაარსდეს სპეციალური კომისია, რომელიც დღევანდელს გარდამავალ ხანაში ხელს მოჰკიდებს ვაჭრობის მოწესრიგებას. რასაკვირველია, ამ კომისიას არ ექნება მუშა აპარატი, რომელსაც შეეძლოს ვაჭრობის წაძღოლა, მაგრამ ან კი ის კომისია,—არსებული ეკონომიურ საბჭოსთან, რომელსაც მინიჭებული აქვს რუსეთში იგივე ფუნქციები, მუშა აპარატს წარმოადგენს? რასაკვირველია, არა. მაშასადამე არ უნდა გავურბოდეთ ტყუილად ასეთის კომისიის დაარსებას ეკონომიურ საბჭოსთან.

„და როდესაც მე ვსწერდი,—ამბობს შემდეგ ამხ. ავაქოვი,—რომ ვაჭრობის მომწესრიგებელ ორგანოს ფუნქციები სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უნდა გადაეცეს მეთქი. ამაში ამხ. ერქომაიშვილმა დაინახა ჩემი სამრეკლოს თვალსაზრისი. ყველასათვის ცხადია, რომ გაცვლის წარმოება და განაწილება—ეს ერთი მეორისაგან ჩამოკვეთილი რამ კი არ არის, არამედ ცალკე საფეხურებია ერთის პროცესისა; ეს მშვენივრად აქვს ახსნილ-განმარტებული კ. მარქსს". ყველა ეს მოწმობს იმას, რომ ამხ. ავაქოვი ყოვლად უადგილოდ შეეხო დიდებულ მოაზროვნეს მარქსს; საჭიროა განსაკუთრებული უნარი, რომ სახელმწიფოებრივ ამოცანათა პრაქტიკულად განხორციელების დროს ეკონომიკის სფეროში გამოყენებულ იქნას უდავო მასალა მარქსიზმის თეორიიდან. ხომ ძნელია პოვნა მთელს ქვეყანაზე ისეთის ეკონომიკისა, რომელიც განსაკუთრებულს მნიშვნელობას არ აკუთვნებდეს ვაჭრობა მრეწველობის განვითარების საქმეში, მაგალითად გადასაზიდ საშუალებებს. მაგრამ არც ერთი უმაღლეს საბჭოს უფლება არა აქვს, აქედან ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ რკინის გზები სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში უნდა იყოსო.

და ბოლოს ამხ. ავაქოვი აქ ამეღავნებს, რომ მას არ ესმის თუ როგორია საქმის ვითარება ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესთა სფეროში. თითქმის მთელი მრეწველობა სახელმწიფოს გამგებლობაშია, მაგრამ სამაგიეროდ სასოფლო მეურნეობა ხელში უპყრავსთ კერძო ცალკე მწარმოებლებს, რომლებთანაც საქმის დაჭერა ამავე დროს იგი გვიხდება, როგორც მომხმარებლებთან.

მაგალითად რუსეთში ომის წინა დროის მრეწველობა სპეციალისტების გამოანგარიშებით ოთხ ნახევარ მილიარდის მანეთის ღირებულებას ჰქმნიდა. ამავე დროს მინდვრის მოსავალი სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის გამოკლებით ხუთი მილიარდი მანეთის ღირებულებას იძლეოდა. 1922 წლის მოსავალი მისცემს სამს მილიარდს. ანუ 65 პროცენტს იმ ღირებულებისას, რომელსაც იძლეოდა ომამდე. ხოლო მრეწველობას შეუძლიან მისცეს 20 მდე პროცენტი. ჩვენში მდგომარეობა უარესია. ეს ცნობები სულაც არ მოწმობს მრეწველობის პირველობას და მაშასადამე ვაჭრობის ფუნქციების სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოზე გადაცემის საჭიროებას. აქ სრულიად უადგილოა მარქსის ხსენება.

სახელმწიფოებრივს ვაჭრობას მოწესრიგება უნდა. პრაქტიკულად შეიძლება შემდეგი წინადადება წამოვაყენოთ:

1. შექმნილ იქნეს ეკონომიურ საბჭოსთან საგანგებო, მუდმივად მომქმედი კომისია, რომლის დანიშნულებაც იქნება ბაზრის შესწავლა და სახელმწიფოებრივ ვაჭრობის დაწვრილებითი გეგმის შემუშავება.
2. მიეცეს უფლება სამეურნეო ორგანოებს აწარმოონ ვაჭრობა იმ საძველზე, რომელსაც შეიმუშავებს კომისია და დაამტკიცებს ეკონომიური საბჭო.
3. დაევალოს კომისიას, რათა საკმარის თანხის მოგროვების შემდეგ შეიმუშაოს გეგმა სპეციალურ სავაჭრო აპარატის შექმნისა საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბში.
4. მოწესრიგებულ იქნეს ურთიერთობანი სახელმწიფოებრივ ორგანოებისა, რომელიც კოოპერაციასთან ვაჭრობას აწარმოებენ.

ა. ერქომაიშვილი

---

*) სადისკუსიო.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

მშვიდობა ოსმალეთის ხალხს! ომი ევროპის იმპერიალიზმს!

კომინტერნის აღმასკომის მიმართვა.

მუშებო და მუშა ქალებო!

ახლო აღმოსავლეთში ხდება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბები. ძლევა მოსილ ანტანტის კაპიტალისტებმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ოსმალეთის ხალხს. მათ დაანაწილეს ოსმალეთი ნაწილებათ, შემოზღუდეს იგი სახელმწიფოების რგოლით, რომელნიც მოკლებულნი არიან დამოუკიდებელ ცხოვრების უნარს და იძულებულნი არიან ითამაშონ მოკავშირე სახელმწიფოების გუშაგების როლი. ოსმალეთის მთავარი ქალაქი, კონსტანტინოპოლი, გადაიქცა მოკავშირეთა სამხედრო ბანაკად. ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო გემები ამყოფებენ მას მიშვერილ ზარბაზნების შიშის ქვეშ. განიარაღებული ოსმალეთი ის ის იყო უნდა გადასცემოდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ ანტანტას. **მაგრამ საბჭოთა წითელი არმიის ბრძოლით და გამარჯვებით, აღფრთოვანებულმა ოსმალეთის ხალხმა ხელში აიღო იარაღი და 3 წლის ბრძოლის განმავლობაში დაიცვა თავისი თავი.** მიუხედავად იმისა, რომ მისი ძალები დასუსტებული იყო მთელ რიგ თავდატეხილ ომების მიერ. მან უკუაქცია საბერძნეთის არმია, მიუხედავად იმისა, რომ მას დახმარებას უწევდა ინგლისი, და გაანთავისუფლა მცირე აზია, კონსტანტინოპოლის და დარდანელის გამოკლებით, მოწინააღმდეგის ჯარებისაგან. **ოსმალეთის ჯარების გამარჯვება ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ტირანების ძლაუფლებაც ჩაყენებულია თავის საზღვრებში და რომ მონობის ყველა მორკილები, რომელიც დაადო სამარცხვინო ვერსალის საზავო ხელშეკრულებამ, იმსხვრევა, როგორც კი ხალხები თვითონ იცავენ თავის თავისუფლებას.**

მაგრამ ინგლისის ვასალის დამარცხება, საბერძნეთის დამარცხება ჯერ კიდევ არ მოასწავებს ანტანტის იმპერიალიზმის საბოლოო დამარცხებას. **კონსტანტინოპოლი და დარდანელი ჯერ კიდევ მოკავშირეების ხელში იმყოფებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ მოკავშირეები იცავენ უფლებას არა მარტო დაემუქრონ ოსმალეთს მისი საკუთარი სატახტო ქალაქიდან განდევნით,** მაგრამ ისარგებლონ დარდანელით შავ ზღვაზე სამხედრო გემების თავისუფალ შესასვლელად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მუშებო და მუშა ქალებო! ინგლისის იმპერიალიზმს ჰყოფნის თავხედობა, ზღვების თავისუფლების სახით, დაემუქროს ახალი ომით იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი გაბედავს თავის სატახტო ქალაქის და საკუთარი სანაპიროების დაკავებას. სულ რამდენიმე წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც სიკვდილი ანადგურებდა ინგლისის და ავსტრალიის მუშებს გალიპოლის ნახევარ კუნძულზე, იმ მუშებს, რომელიც ღვრიდენ საკუთარ სისხლს რუსეთში და ოსმალეთში ინგლისისა იმპერიალიზმის ბატონობის დასამყარებლად. და რა მოხდა? **ინგლისის იმპერიალიზმს არ ეშინია დაემუქროს მსოფლიოს ახალი ომით.** თუ მან გადასწყვიტა მოიყვანოს სისრულეში თავისი მუქარა, მაშინ არა მარტო ინგლისის და ოსმალეთის სალდათების სისხლი, არამედ სხვა ერების სისხლიც დაიღვრება მთელ ქვეყნიერებაზე.

უკანასკნელ წლებში საფრანგეთი, კონკურენციის მოსაზრებით, დახმარებას უწევდა ოსმალეთს, რათა შეესუსტებია ინგლისის პოზიცია აღმოსავლეთში და ამით აეძულებია იგი დასთანხმებოდა საფრანგეთის მტაცებლურ პოლიტიკაზე გერმანიის მიმართ.

მაგრამ რა წამს საკითხი სულ სხვა მხრივ დაისმება, რა წამს ოსმალეთი ხელს გაიშვერს სრუტეების სანაპიროებისაკენ, საფრანგეთი, ექვს გარეშეა, ხელახლა დაუჭერს მხარს ინგლისს, ვინაიდან საფრანგეთის იმპერიალიზმს ყველაზე მეტად ეშინია დაჰკარგოს ინგლისის დახმარება თავის მისწრაფების განხორციელების დროს გერმანიის დამონების საქმეში. მას შეუძლია თავის თავს ნება მისცეს მოჩვენებითი დემონსტრაციით შეალამაზოს თავისი მოქმედება ინგლისის წინააღმდეგ, მაგრამ არ შეუძლია გასწყვიტოს მასთან კავშირი. ამგვარად, საფრანგეთის მუშებსაც აგრეთვე მოუხდებოდათ ბრძოლა ანტანტის საერთო ბატონობის განსამტკიცებლად. მაგრამ ომი არ განისაზღვრება დასახელებულ ერების ომით. ანტანტა აიძულებდა მიეღო მონაწილეობა ამ ომში აგრეთვე სერბიას და რუმინიას, იტალიას და საბერძნეთს. **ცეცხლი რომელიც გაჩნდებოდა ბალკანეთში, მოედებოდა სხვა ქვეყნებსაც და ევროპა ხელახლა გადაიქცეოდა ბრძოლის ასპარეზათ.** მაგრამ კიდეც რომ იყოს მოსახერხებელი ამის თავიდან აცილება ოსმალეთის მხრივ დათმობით, ეს იმას მოასწავებდა, რომ ომი ახლო აღმოსავლეთში დროებით გადაიდო. ოსმალეთს შეუძლია არსებობა, თუ იგი ზურგს უკან დაიგულებს ანტანტის გაშიშვლებულ მახვილს, ხოლო რუსეთს არ შეუძლიან დამშვიდდეს მანამ, სანამ მის პურით და ნახშირით მდიდარ აუზებს დაემუქრება ინგლისის ფლოტი.

მუშებო და მუშა ქალებო! ოსმალეთის მთავრობა არ არის მუშების და გლეხების მთავრობა, არამედ იგი არის აფიცრების და ინტელიგენტების მთავრობა, რომელიც, რა თქმა უნდა, არ შეეფერება ჩვენს იდეალებს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ოსმალეთი მოახერხებს ეკონომიურ განვითარების გზაზე დადგომას, ოსმალეთის მუშათა კლასი იძულებული იქნება იბრძოლოს ასეთ მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ ოსმალეთის მუშებმა შეიგნეს, რომ მიუხედავათ მათი მთავრობისადმი დამოკიდებულებისა, ოსმალეთის ბრძოლა არის გადატაკებულ გლეხთა ქვეყნის ბრძოლა მონობის წინააღმდეგ, რომლიც ემუქრება მას საერთაშორისო კაპიტალი. **საერთაშორისო პროლეტარიატმაც, მიუხედავათ თავისი დამოკიდებულებისა ოსმალეთის მთავრობისადმი, თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, უნდა გააკეთონ ყველაფერი, რაც მისგან არის დამოკიდებული, რათა საშუალება მოუსპონ ანტანტის იმპერიალიზმს ხელახლა გაილაშქროს იარაღით ხელში ოსმალეთის წინააღმდეგ ხელახლა დაღვარონ ევროპის პროლეტარიატის სისხლი ინგლისის მსოფლიო ბატონობის განსამტკიცებლად.**

მუშებო და მუშა ქალებო! და პირველ ყოვლისა, თქვენ, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, სერბიის და რუმინიის მუშებო! **თქვენი წმინდა მოვალეობაა ყოველი ძალღონით იბრძოლოთ ოსმალეთზე სამხედრო მოქმედების ზეგავლენის წინააღმდეგ.** თქვენი წმინდა მოვალეობაა არ დაუშვათ, რათა ანტანტამ აიძულოს ოსმალეთი გადასცეს სრუტეები მოკავშირეთა განკარგულებაში და ამით გაუკაფოს გზა ახალი ომების საწარმოებლად. საკითხები, რომელიც უნდა გადასწყდეს ახლო-აღმოსავლეთში, არის არა მარტო იმ ერების ყოფნა არყოფნის საკითხები, რომელნიც სცხოვრობენ შავიზღვის სანაპიროებზე, არამედ არის ევროპის პროლეტარიატის ყოფნა არყოფნის საკითხიც.

ძირს ანტანტის იმპერიალიზმი! თავისუფლება დამშვიდება ოსმალეთის ხალხს! ძირს ახალი იმპერიალისტური ომები! ძირს დიპლომატიური ვაჭრობა.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი.

მოსკოვი 25 სექ. 1922 წ.

მუდანიის კონფერენციის გარშემო

მოსკოვი. 5 ოქტომბერი. კერზონმა საფრანგეთის ელჩს განუცხადა რომ ინგლისის წარმომადგენელი მუდანიის კონფერენციაზე შეუერთდება საფრანგეთის თვალსაზრისს ფრაკიის საკითხში.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. ინგლისის და იტალიის ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ, პუანკარე მოკავშირეების სახელით მიიწვევს ოსმალეთს მუდანიის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

— „მორინგ პოსტ"-ი იტყობინება რომ მუდანიის თათბირზე განხილული იქნება საკითხი ნეიტრალური ზონის ხელშეუხებლობის ზომების უზრუნველყოფის შესახებ, ოსმალეთის და ინგლის შორის შეთანხმების მიღწევის საკითხი, აღმოსავლეთ ფრაკიაში სადემარკაციო ხაზის დაწესებისათვის.

იქნება განხილული აგრეთვე საკითხი, ფრაკიაში დროებითი მმართველობის მოწყობის შესახებ.

ბუიონის მოხსენება.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. პარიზში მიღებულია ბუიონის მოხსენება ქემალთან პირველი შეხვედრის შესახებ. თავის მოხსენებაში ბუიონი აღნიშნავს, რომ ქემალი არ იჩენს ზომიერებას და მასზე ახდენენ გავლენას ანგორის ექსტრემისტები.

ანგორის მთავრობის ნოტა.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა ანგორის მთავრობის ნოტა პუანკარესადმი. ნოტაში აღნიშნულია, რომ ქემალმა გასცა ბრძანება კონსტანტინოპოლის და ჩანაკის მიმართულებით სამხედრო მოქმედების შესახებ, ნოტა მოითხოვს ფრაკიის და ადრიანოპოლის დაუყოვნებელ ევაკუაციას და ოსმალეთისათვის გადაცემას.

უკეთებენ რა კომენტარიას ამ ნოტას, გაზ. „დეილი ხრონიკლი" და „დეილი ტელეგრაფი" გადაჭრით აცხადებენ რომ შეუძლებელია ოსმალეთს გადაეცეს ფრაკია სამშვიდობო კონფერენციამდე.

პარიზის წრეებში ქემალის ნოტას სასურველად სთვლიან.

რუსეთის პოზიცია.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი ძალიან შეწუხებულია რუსეთის პოზიციით. საფრანგეთი სცდილობს თავიდან აიშოროს ომი.

ვენიზელოსი.

მოსკოვი 4 ოქტომბერი. ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ვენიზელოსის ლონდონში ჩასვლას, რომელმაც განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ის დანიშნულია საბერძნეთის წარმომადგენლად ევროპაში.

გაზ. „დეილი გერალდი ამტკიცებს, რომ ომის საფრთხე თავიდან არ არის აშორებული, სანამ ინგლისის პოლიტიკას ხელმძღვანელობს ლოიდ-ჯორჯი, რომელიც მოქმედებს ვენიზელოსის გავლენის ქვეშ.

ინგლისის პოზიცია.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. ინგლისის პრესა, რომელიც აწარმოებს კამპანიას ომის წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა, მარინგტონის გონივრული მოქმედებით, რომელმაც ქემალს არ გადასცა ულტიმატუმი.

მოკავშირეების მოთხოვნილებანი

ჰანოვერი. 5 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, რომელიც მიღებულია სმირნიდან, მოკავშირეები აუცილებლად მოითხოვენ ნეიტრალური ზონის დაცლას ოსმალეთის მიერ.

მოლაპარაკება მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით

ჰანოვერი. 5 ოქტომბერი. „კორიერ დელა სერას" ცნობებით, სტამბოლში მოკავშირეების უმაღლეს კომისრების და გენერლების წინაამწარ თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქემალ-ფაშასთან მოლაპარაკება მუდანიაში იწარმოებს მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით.

იტალიის გადაწყვეტილება

ჰანოვერი. 5 ოქტომბერი. რომიდან იტყობინებიან, რომ იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს მუდანიის კონფერენციაზე სპეციალისტები ახლო-აღმოსავლეთის საკითხში, რათა დაცულ იქნეს იტალიის ინტერესები, ასეთი წარმომადგენელის უფლებები ისეთივე იქნება, როგორიც ფრანკლენ ბუიონის უფლებები.

ოსმალეთის მოთხოვნილებანი.

ჰანოვერი, 5 ოქტომპერი სმირნიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის წარმომადგენელს იზმიდ-ფაშას უფლება ეძლევა წარადგინოს მუდანიის კონფერენციაზე შემდეგი მოთხოვნილებანი:

1) დაუყონებლივ დასცალონ ფრაკია და აღდგენილ იქნეს 1916 წლის საზღვრები, ამავე დროს ფრაკიის ოკუპაცია მოკავშირეების მიერ დასაშვებია მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საბოლოოდ ფრაკიას შეუერთებენ ოსმალეთს. 2) ბერძნების მიერ ფრაკის ევაკუაციის დროს მოკავშირეებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ, ბერძნების მიერ ფრაკიიდან ოსმალეთის ქვეშევრდომების მასალების წინააღმდეგ. აგრეთვე მოთხოვნილებები გამოაქვეყნა ქემალ ფაშის წარმომადგენელმა — რეშადმა, გაზეთ „მორნინგ პოსტის" წარმომადგენელთან ლონდონში, სადაც რეშადი იმყოფებოდა და მიიღოს ლორდ კერზონმა.

ინგლისელების მოთხოვნილებანი.

ჰანოვერი. 5 ოქტომ. პარიზიდან მიღებული ცნობების თანახმად, გენერალ მარინგტონის მიერ გამომუშავებული ინგლისის მოთხოვნილებანი მდგომარეობს იმაში, რომ ოსმალეთმა უნდა გაიყვანოს ჯარები ნეიტრალური ზონიდან იმ მანძილამდე, სადაც ინგლისის სარდლობას არავითარი საფრთხე არ მოელის შესაძლებელ შეტაკების დროს.

კონფერენციის შემადგენლობა.

ჰანოვერი. 5 ოქტ. ჯერ ჯეროვნით გამორკვეულია, რომ მუდანიის კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ ბრანკლენ ბუიონი, ანგორის წარმომადგენელი სტამბოლში—გამიდ-ბეი, საბერძნეთის წარმომადგენლები ნაზანაკისი და პოლკოვნიკი სარიგანისი.

კონფერენციის გახსნა.

ჰანოვერ. 5 ოქტომბერი მუდანიაში კონფერენცია გაიხსნა 3 ოქტომბერს.

ჰანოვერი. 5 ოქტომ. პირველი კამათის შემდეგ 3 ოქტომბერს სხდომა შესწყდა საბერძნეთის წარმომადგენლების მისვლამდე.

დახურულ კარებში.

ჰანოვერი. 5 ოქტონ. მუდანიის კონფერენციის სხდომაზე ჯერ ჯეროვნით სწარმობს დახურულ კარებში.

ნაუენი. 5 ოქტომ. მუდანიაში მოლაპარაკება სწარმოებს დახურულ კარებში, სანამდე შეთანხმება არ იქნება მიღწეული, ოფიციალური ცნობა არ იქნება გამოქვეყნებული.

კროიდანი 5 ოქტონ. უკანასკნელ დრომდე არ არის მიღებული დაწვრილებითი ცნობები მუდანიის კონფერენციის გუშინდელ მოლაპარაკების შესახებ.

კონფერენციის საქმიანობა.

ქაირი. 5 ოქტომბერი. კონფერენციის გუშინდელ სხდომაზე ირჩეოდა საზავო პირობები დარდანელის რაიონისათვის და გადასინჯული იქნა ნეიტრალური ზონა, დღევანდელ სხდომაზე ალბად განხილული იქნება საკითხი ფრაკიის შესახებ. მოკავშირეებს განზრახული აქვს მოითხოვონ ფრაკიის ევაკუაცია ბერძნების მიერ მხოლოდ საზავო კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ.

შიშს გამოსთქვამენ, რომ ბერძნები უარს იტყვიან ფრაკიის დაცლაზე.

სიფრთხილე.

ჰანოვერი 5 ოქტ. ლორდ კერზონმა აცნობა საფრანგეთის წარმომადგენელს, რომ გენ. გარინგტონს მიეცა ინსტრუქციები, მოითხოვოს ოსმალეთიდან მუდანიის კონფერენციაზე ჯარების გაყვანა ნეიტრალური ზონიდან იმ მანძილის მოშორებით, რომ ინგლისის ჯარებს არ მოელოდეს შეტევის საფრთხე.

ინსტრუქციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ ფრაკიას საბერძნეთი არ დაცლის მანამდე, სანამ ანგორა პასუხს არ გასცემს მოკავშირეებს კოლექტიურ ნოტაზე და რომ ფრაკიის ადმინისტრაცია არ იქნება შეცვლილი სამშვიდობო კონფერენციის საბოლაო გადაწყვეტილებამდე.

კონფერენციის დასასრული.

რომი. 5 ოქტომ. მუდანიის კონფერენცია ხვალ ამთავრებს თავის მუშაობას.

ფრაკიაში.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ საბერძნეთის ჯარები გაყვანილ იქნებიან ფრაკიიდან, თუ ქემალ ფაშა მიიღებს პარიზის წინადადებებს.

ვენიზელოსის ერთგულება.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. ვენიზელოსმა აცნობა საბერძნეთის რევკომს რომ ის მზად არის მხარი დაუჭიროს მას სახელმწიფოს ხსნისათვის, თუმცაღა უარს ამბობს პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობის მიღებაზე.

ქემალ ფაშის მოსვლა ანგორაში.

ანგორა. 2 ოქტ. დღეს პირველად ჩამოვიდა ფრონტიდან ქემალ ფაშა. ანგორის ყველა მცხოვრებნი აუარებელ ჯგუფებით დაწყობილნი შეხვდა მას სადგურის მახლობლად რკინის გზის ხაზზე. აქავე იყო მრავალრიცხოვანი გლეხთა დელეგაციები და აგრეთვე მუშები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ოსმალეთის უმაღლეს ეროვნულ საბჭოს წევრნი, მოსწავლეები ყველა საქალო და სავაჟო სასწავლებლებისა და თავშესაფარისა. სასულიერო წოდების შორის, რომელიც ქემალ ფაშას შეხვდა, იყო ქრისტიან სომხების და ბერძნების წარმომადგენლები. ყველგან გამოფენილი იყო პლაკატები, ქემალ ფაშის სურათები, ნაციონალური ფლაგები და დროშები. მონაწილეობა მიიღეს შეხვედრაში აგრეთვე ქალებმა, რომელთაც ჩადრი გადახდილი ქონდათ. მთელი გზა მოფენილი იყო ხალიჩებით, გზაზე მოწყობილი იყო სამი სატრიუმფო არკები. ბაქანზე და გზაზე შპალერებად დაწყობილი იყო ჯარი.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია

სხდომა პირველი

სხდომა იწყება 12 ს. 5 წ. თავმჯდომარეობს ამხ. ფ. მახარაძე, მდივნობს ამხ. თ. კალანდაძე.

ამხ. ფილიპე მახარაძე. ამხანაგებო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე 2-რე სესიის სხდომას გახსნილად ვაცხადებ. ამხანაგებო მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ დღევანდელ სხდომას მეტად რთული ხასიათი აქვს მე, მაინც ვსარგებლობ შემთხვევით, ვინაიდან ამ ჩვენ კრებას დღეს, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების უზენაესი ორგანოს სხდომას, პირველად ესწრება ჩვენი ბელადი, მოხუცებული ამხანაგი, მეთაური და მამამთავარი სოციალისტური მოძრაობისა, არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში, არამედ მთელ რუსეთშიაც— ამხანაგი მიხა ცხაკაია. მე გთხოვთ, ამხანაგებო მივესალმოთ მიხა ცხაკაიას.

ამხ. მიხა ცხაკაია. ამხანაგებო, უცაბედათ ვესწრები დღევანდელ კრებას. დიდათ მოხარული ვარ, რომ დავესწარი მას, მაგრამ მართალი გითხრათ არ ვიცი რა საგანს შევეხო პირველად. მოგესალმებით ამხანაგებო, და გისურვებთ ისე წარმატებით ხნეობით და სიმამაცით განაგრძოთ საბჭოთა ხელისუფლების სამსახური, როგორც დაიწყეთ დაიწყეთ მისი შენება აქ, ამ მეტის მეტად მნიშვნელოვან ფრონტზე, საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციისა. ამ სესიაზე დაამტკიცეთ თქვენ შორის მხედველობა, შორს მჭვრეტელობა. მოგესალმებით კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით, მოგესალმებით ყველა ქვეყნის მუშების სახელით, რომელთაც აერთებს კომინტერნი, მოგესალმებით იმ ამხანაგების სახელით, რომელნიც თქვენი წარმომადგენლები არიან მოსკოვში, და აგრეთვე ყველა იმ ამხანაგების სახელით რომელთანაც ჩვენ გვქონდა კავშირი მოსკოვში. გაუმარჯოს თქვენ სესიას და ვისურვებთ, რომ ის ვრცელი და სერიოზული პროგრამა, რომელიც თქვენს წინაშე. დღის [illegible] ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვით შევეხო შინაურ და გარეშე პოლიტიკას საბჭოთა ფედერაციისას, საბჭოთა ქვეყნისას, აგრეთვე კომუნისტური ინტერნაციონალის ხაზს, კომუნისტური ინტერნაციონალის, ვინაიდან ის არის დღეს ბელადი საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისა, რომელმაც პირველი სამშობლო ჰპოვა საბჭოთა რუსეთში, საითკენაც მიიზიდებიან დედა-მიწის ყველა ნაწილები, ყველა დავრდომილნი და ჩაგრულნი, ყველა, ვინც ისრისება ევროპის იმპერიალიზმის ქვეშ, აღმოსავლეთის და დასავლეთის მუშათა კლასები და სხვა და სხვა დაჩაგრული ერები და მათი ავანგარდი საერთაშორისო პროლეტარიატი. ამის გამომხატველი და დამამტკიცებელი დღეს ყველაზე უკეთ არის ანატოლიისა და კონსტანტინოპოლის საკითხი, რომელმაც შეიძლება ახალი ფურცელი გადაშალოს საერთაშორისო დამოკიდებულებისა. მეორეც,—საბჭოთა ქვეყანა,—ასეთ ზოგად სახელს უწოდებთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს—საბჭოთა ქვეყანა მეტად საგულისხმო მდგომარეობაში არის დღეს. მან დასძლია ხუთი წლის განმავლობაში ყველა მხეცური, ძლიერი შემოტევა კაპიტალისტური სახელმწიფოებისა და შინაური კონტრრევოლიუციისა. ყველა ფრონტებზე გავიმარჯვეთ, როგორც გავიმარჯვებთ მომავალშიც. მაგრამ ჩვენს წინაშე,— დროებით რასაკვირველია,—მაგრამ მაინც მძლავრად დადგა ეკონომიური საკითხი, რომელიც ყოველთვის არის ძირითადი საკითხი ყველა მოძრაობისა; ეს ეკონომიური პოლიტიკა წინასწარ იყო მოხაზული ჩვენი მარტიის მიერ, ჩვენ არ ვყოფილვართ უტოპისტები. „ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა ნაყოფი უნდა გამოიღო ჩვენს პოლიტიკას მომავალში, ეს მაშინაც კარგად ვიცოდით; ამაში არ შეცდა კომუნისტური პარტია და კომუნისტური ინტერნაციონალი. მან სწორი გზა აიღო, ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ წვრილმან დეფექტებს, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, [illegible] რომ არ შევცდეთ მთავარ ხაზში. მთავარ ხაზში არ შემცდარა, რუსეთის საბჭოთა მთავრობა; ექსპერიმენტები იყო რასაკვირველია, როგორც აუცილებლობა; ბევრი კანონი გამოიცა, ათასი შეცვლა, და დამატება მოხდა, ამას მოითხოვდა სინამდვილე, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ანგარიშს უწევდა და ეს ამტკიცებს იმ ხელისუფლების ძლიერებას, რომელიც დამკვიდრებულია საბჭოთა ქვეყანაში. თვით ისტორია ადასტურებს, რომ მოსკოვი არ არის უტოპია. უტოპიის მაგალითი იყო ისტორიაში—ეს არის პარიზის კომუნა, რომელმაც ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა; ეს პირველი გამოცდა იყო, ის შთანთქა ევროპის კაპიტალისტურმა რეაქციამ. ვიმეორებ, რომ საბჭოთა ქვეყანა დღეს, ასე ვთქვათ, ომის ფრონტიდან გადავიდა ეკონომიურ ფრონტზე. ამ ფრონტზედაც, მიუხედავათ წარმოებულ ბლოკადისა, დიდი სიმშილობისა და ათასი დაბრკოლებისა მოსკოვმა გაიმარჯვა; მის ხელშია გეზი, კომპასი, დიქტატურას რომ ეძახიან, ის გადავიდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. ვილაპარაკოთ ამ „ნეპის" შესახებ. რასაკვირველია საერთაშორისო ძალთა განწყობილებას აქვს მასთან დამოკიდებულება, კავშირი, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს პროცესსი რუსეთში გაიმარჯვებს, იმარჯვებს დღეს კომუნისტურ ინტერნაციონალის შემწეობით და გაიმარჯვებს სხვა ქვეყნებშიდაც. პირველი კანდიდატები არიან დასავლეთის ქვეყნები,—გერმანია და სხვა. შეიძლება იქ კიდევ უფრო ცხარე ბრძოლა იქნეს ვიდრე რუსეთში. საბჭოთა ქვეყანა, რომელიც არის მფარველი ყველა დაჩაგრულთა, დღეს თავისი სახელოვანი წითელი არმიით იგი სამშობლოა მთელი ქვეყნისა, საერთაშორისო მებრძოლი პროლეტარიატისა. ყველა, ვინც მოისურვებს მოექცეს რევოლიუციის წრეში ყველა მათი დამხმარე იქნება წითელი არმია, ვინაიდან კომუნისტური ინტერნაციონალი სამშობლო არის ჩაგრულთა ყველა ქვეყნისა; დელეგატების ყრილობაზედ ე. ი. კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესებზე მეორე ინტერნაციონალის თაღლითობას ადგილი არა აქვს. აქ შენდება პოლიტიკა მოქმედებისა, რომელიც [illegible] არის დაფუძნებული, მეცნიერებაზე (არა ძველი ბაქებით), არამედ ახალი რომელიც შედის სტრატეგია და... სწარმოებს ბრძოლა ორ ქვეყანას შორის კაპიტალიზმისა და კომუნიზმისა, ერთის ბელადი არის გარდინგი, პუანკარე ლოიდ-ჯორჯი და ნაციათა ლიგა. მათ დაუპირისპირდა ლენინი, ტროცკი და კომინტერნი. თქვენ მიხვდებით რამდენად მეტი შანსები აქვს გამარჯვებისათვის მეორე მხარეს. ბურჟუაზიის წარმომადგენლობა გაკოტრდა ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში, რაც დამტკიცდა გენუაში და გააგაში, სადაც იყო შეხლა შემოხლა და შეჭიდება ორი ძალისა, სადაც შინჯავდენ ვის მხარეზეა მეტი ძალა. ვიმეორებ, საბჭოთა ქვეყანა რჩება მძლავრი, რამდენიც არ უნდა ეცადონ და ითაღლითონ კაპიტალისტებმა, ბურჟუაზიამ და მათმა წინამძღოლებმა ისინი ვერ შეაჩერებენ კომუნიზმის წინსვლას. რამდენი ომი არ იყო, ყველა ფრონტზე გამარჯვებული გამოვედით და აწიც გავიმარჯვებთ ყოველთვის, რაც რასაკვირველია დამოკიდებულია მასებზე, მათ მოწინავე ორგანიზაციებზე — პროფესიონალურ კავშირებზე და საერთოდ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებზე. მათ შორის ჩვენი მხარე ინტერნაციონალის ერთ დიდ საგრძნობ მხარეს წარმოადგენს დიდ მნიშვნელოვან ეკონომიურ ბრძოლაში. დარჩა მესამე ფრონტი, დიდი მძლავრი ფრონტი, ეს ფრონტი მუდამ იყო და არის იდეოლოგიური ფრონტი. ახალგაზრდათა გარყვნა, რომელსაც ქმნის ბურჟუაზია იდეოლოგიურად ყოველთვის იყო. მაგრამ ესეც შესუსტდა. რევოლიუციამ მოახდინა დიდი ცვლილება. სად არის ის აუარებელი ფურცლები, რომელსაც „მოსკოვსკოე სლოვო", „რუსსკიე ვედომოსტი" და სხვა გამცემელ პარტიების, რომელნიც არ იყვნენ მომხრე ჭეშმარიტი ინტერნაციონალისა. ჩვენ მათ დეზინფექცია უყავით. ეხლა უნდა შევნიშნოთ რომ ბურჟუაზიის დროს თავისუფლება სიტყვისა ყოველთვის იყო მძლავრთათვის და არა მუშა ხალხისათვის. ეს დაშვებული არის ეხლაც საბჭოთა ფედერაციის საწინააღმდეგოდ, საბჭოთა ხელისუფლების გარეშე იდეოლოგიის ფრონტზე, რომელსა ხაზი გაუსვით, ამ უკანასკნელ დროს შეიქნა ბევრი შეხლა შემოხლა, რომელიც ნაყოფია „ნეპის" ახალი ეკონომიური პოლიტიკის. ამას უნდა გაუსვა ხაზი იმისთვის, რომ ამ საგანზ. ბევრი ბურჟუა და ინტელიგენტი ფიქრობს და ამბობს: „ნეპის" დროს ყველაფერის ნება მაქვსო.

სწორეთ ისე, როგორც, ზოგიერთმა ძველმა ხაზეინებმა მიიღეს ფაბრიკები და დაიწყეს ჩვეულებრივი შრომის კანონების გარეშე ექსპლოატაცია. ყველა ამას დარაჯად უდგას პროლეტარული დიქტატურა. ასე უნდა ვქნათ იდეოლოგიის სფეროშიაც და დარწმუნებული ვარ რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველა ამას დიდ ყურადღებას მიაქცევს. როგორც უწინ ამბობდენ „სედმაია დერჟავა"—მეშვიდე მფლობელი არის პრესა. მით უმეტეს ახალ პროლეტარულ დიქტატურის პრესას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის რძე, რომელიც შეზავებული და შეწონილი უნდა მიაწოდოთ და მაშინ ის ნამდვილი საზრდოა, ის არ უნდა იყოს შერეული რამეში. ეს რძე უნდა მიეწოდოს იმ მასებს, რომელნიც არ არიან მომზადებულნი და თქვენ უნდა გაუწიოთ ამას ხელმძღვანელობა. მე ვიმეორებ, რომ შინაური მდგომარეობა საბჭოთა ქვეყნებისა ასეთია. გარეშე კი ამხ. როგორც იტყვიან „ჩასავოით", ყარაულად უნდა უდგეს მესამე ინტერნაციონალი. მან მიიღო ხაზი და სტრატეგიული პლანი და ურჩევს საერთაშორისო პროლეტარიატს არა ძველებურად რეზოლიუციების მიღებით როგორც ეს იცოდა ინტერნაციონალმა, არამედ პირიქით ის ყოველ კვირას თუ არა, ყოველ თვეში მაინც იბარებს ყოველ ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს და თუ რომელიმე ქვეყნის კომუნისტურ პარტიას შეცდომა მოუვიდა იგი იბარებს მას და უმორჩილებს იმ დისციპლინას, რომელიც გამოტანილია მისივე დელეგატების მიერ, მიიღებს ამა თუ იმ რეზოლიუციას რითაც გაუსვამს ხაზს მესამე ინტერნაციონალის საკითხებს, საერთაშორისო რევოლიუცია ასე ჩქარა არ ხდება. რუსეთმა შექმნა გამონაკლისი, რომელსაც თავისი საბუთები აქვს. ის სასწაული არ არის, მაგრამ ბურჟუაზიული ენით კი, ვინაიდან იმათ თვალსაზრისით ყველაფერი სასწაულია. რასაკვირველია ჩვენ ვერ ვნიშნავთ იმ მომავალს, როდესაც სრულიად მოწყობილი იქნება კომუნისტური საზოგადოება. რა გაკვირვებით შეხედავენ ჩვენ დროს, ჩვენ მუშაობას მაშინ? მე მაქვს მხედველობაში ის ხუთი წელიწადი, რომელიც საჭიროა ევროპის, საერთაშორისო კაპიტალთან საბრძოლველად. ეს ბრძოლა უფრო საშინელი რამ იქნება. ამიტომ ხაზი რომელიც გაატარა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა რევოლიუციონურ-სტრატეგიული ხაზი აუცილებელია. ბურჟუაზიას ასე ეგონა, რაკი ნეპი გაიგონეს, მაგრამ ლოიდ ჯორჯი რასაკვირველია ისე სულელი არ არის და კარგად იცის, რომ ნეპი არ ნიშნავს ჩვენი პოლიტიკურ მისწრაფების შეცვლას. თავისთავად ეს არის ერთგვარი სტრატეგიული მიმართულება საბჭოთა ქვეყნებისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თვითეულმა ნაწილმა საბჭოთა ქვეყნების ყველგან და საქართველოშიც. ასე შეიძლება შეიქმნას პატარა წრე ერთი ორი პროცენტი მასისა, მაგრამ მას მიყვება მასა და ამ რიგად აუცილებლად შეიქმნება ეკონომიური საკითხების აღორძინება წარმოებისა, იქნება გატარებული კოლექტიური მუშაობა და მაშინ მთელ საბჭოთა ფედერაციაში იქნება ერთსულოვანი მუშაობა. ამიტომ ვიმეორებ, რომ საგარეო პოლიტიკა საბჭოთა ქვეყნებისა იმაში მდგომარეობს რომ საყარაულოდ იყოს, იხელმძღვანელოს სტრატეგიული მოსაზრებით და შეაკავშიროს არამც თუ პროფესიონალური კავშირები არამედ საზოგადოთ მასები, საზოგადო ხალხები, რომლებიც დაჩაგრულები არიან. იმათ გაუწოდოთ ხელი და მათ დაუმტკიცოთ რომ პროლეტარული რევოლიუცია არის მხსნელი ყველა დაჩაგრულებისა. ამიტომ საჭიროა მზადება და როგორც მარქსი ურჩევდა პროლეტარიატს დიპლომატიას უნდა მიექცეს ყურადღებაო, რადგანაც კაბინეტებში „პროდაუტი პრედაუტ ვასო." პარლამენტები არის მხოლოდ სცენა ლაყბობისა. ჩვენც შევიგნეთ ეს, და ვამბობთ, რომ ქვეყნის მშველელად უნდა გამოვიდეს ეს საბჭოთა ქვეყნები და თავისი მიზნები სავსებით განახორციელონ. რასაკვირველია სხვა საქმე, ორგანიზაციული საქმე, რომელიც ვალად აწევს კომუნისტურ ინტერნაციონალს. ეს არ ეხება იმ ფართო პოლიტიკას, ინტერნაციონალისას. ეს საბჭოთა ქვეყნები უნდა იყვნენ ყოველთვის მზად, ასი პროცენტი მასისა შეიერთოს თავის გარშემო და უჩვენოს მათ, რომ ერთად ერთი ფორმა და მხსნელი არის საბჭოთა პოლიტიკა—კომუნისტური პარტია. და ერთად ერთი გზა და ფორმა ამისა არის პროლეტარული დიქტატურა. აი ერთი ამგვარი გამომხატველი ასეთ საგრძნობ ფრონტზე არის საქართველო, ამიერკავკასია და მისი ნაწილები აღმოსავლეთის და დასავლეთის შუა და გისურვებთ, რომ თქვენც შეგიგნოთ და მგონია რომ შეგნებულიცა გაქვთ ამის მნიშვნელობა, დაგვიმტკიცებიოთ ეს და ყოვლად და სავსებით მკაცრი მიუდგომელი დღეის შესაფერი პასუხი მიგეცეთ, ზომები მიგეღოთ განურჩევლად ჯგუფებისა და პიროვნებისა. გისურვებთ რომ არ იყოს თქვენში ჯგუფები. კომუნისტური პარტია უნდა წარმოადგენდეს ერთ მუშტს იდეოლოგიაშიაც და პრაქტიკაშიც. კოლექტივი იმიტომ არის ძვირფასი, რომ შესაძლებელია იქ გადამუშავდეს სხვა და სხვა აზრები. მის წევრებს რასაკვირველია, შეიძლება ექნეს სხვა და სხვა მოსაზრება, სხვა და სხვა ძალღონე, მაგრამ ყველა ეს უნდა შეერთდეს. ერთი სულით და ხორცით გამოვიდეს, ერთ ქურაში გამომუშავდეს, რომ თქვენი მუშაობით ქვეყანა გადაამუშავოთ და თუ საჭირო იქნება შეცვლა ამასაც არ შეუშინდებით. კომუნისტები ყოველთვის ერთსულოვნად ყოფილან, შეეპირებიან საბჭოთა ქვეყნების იდეალებს და მის მომავალს და თქვენც გისურვებთ ყოფილიყოთ ამ დიდათ საჭირო ფრონტზე. აღმოსავლეთის ქვეყნებში სხვა ცდაც რომ არ იყოს, მარტო თქვენი მაგალითი, მოქმედება ერთსულოვნება და განურჩევლად ეროვნებისა მოღვაწეობა გაიტაცებს მათ.

გისურვებთ, რომ თქვენი მაგალითი იყოს გამაცოცხლებული აღმოსავლეთ ქვეყნებისა, როგორიც არის სპარსეთი და სხვ. გაუმარჯოს თქვენ სესიას, თქვენ მუშაობას. (ტაში).

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი ოქტომბრის 5-სთვის?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს 10 მაზრაში შეგროვილია ხორბლეულის ერთეულით 386,451 ფუთი, ანუ 67,1 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

რომელმა მაზრამ მეტი შეაგროვა?

წლევანდელ სასურსათო გადასახადის გასტუმრებაში ამ ჟამად პირველი ადგილი უჭირავს თელავის მაზრას, სადაც უკვე აკრეფილია 58.600 ფუთი ხორბლეულის ერთეული, ანუ 97,7 პროცენტი შეწერილ გადასახადისა. ამ მაზრას გადასახადი დარჩა სულ 1.400 ფუთი ხორბლეულის ერთეული, რაიც ალბად ამ დღეებში აკრეფილი იქნება.

მეორე ადგილი უჭირავს სიღნაღის მაზრას, სადაც აკრეფილია 92 797 ფუთი და ასაკრეფია კიდევ 7.000 ფ. შემდეგ მოსდევს გორის მაზრა. სადაც აკრეფილია 90.000 ფუთზე მეტი და ასაკრეფია 10.000-მდე ფუთი.

რამდენია თვითეულ მაზრაში აკრეფილი?

მაზრები.	რამდენი ფუთი ხორბალი აქვს წელს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
1. თელავისა.	60.000	58.600	97,7
2. სიღნაღისა.	100.000	92.797	92,7
3. გორისა.	100.000	90.203	90,2
4. სამხრეთ ოსეთი.	25.000	20.249	81,0
5. დუშეთისა.	30.000	21.982	73,3
6. ტფილისისა.	70.000	45.650	65,2
7. ახალციხისა.	55.000	32.326	58,7
8. თიანეთისა.	20.000	8.979	44,8
9. ახალქალაქისა.	36.000	10 598	29,4
10. ბორჩალოსი.	80.000	5 067	6,3
სულ	576.000	386.451	67,1

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

პეტროგრადის სამრეწველო ყრილობა.

მოსკოვი. 4 ოქტ. (პირდაპირი მავთულით). პეტროგრადის საოლქო სამრეწველოს ყრილობაზე დელეგატებმა აღნიშნეს საბრუნავი თანხის ნაკლებობა. ყველგან ემჩნევა მრეწველობის გაუმჯობესება, ნედლი მასალის მარაგი თან და თან იზრდება. მუშაობას იწყებენ აქამდე გაჩერებული წარმოებები.

ყრილობამ დაადგინა მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს ამხ. ლენინს.

საქონელი პეტროგრადისათვის.

მოსკოვი, 4 ოქტ. 20 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პეტროგრადში მოვიდა ესტონიის და ლატვიის საზღვრებიდან 120 ვაგონი სურსათით და ტეხნიკური მასალით დატვირთული. ბოლოსტროვიდან მოვიდა 530 ვაგონი სხვა და სხვა საქონელი.

სავაჭრო ურთიერთობა შვეიცარიასთან.

მოსკოვი. 4 სექტ. უკანასკნელ დროს, პეტროგრადში შვეციის ფირმების წარმომადგენელთა ჩამოსვლის გამო, ჩვენ სავაჭრო ურთიერთობას შვეციასთან გამოცოცხლება დაეტყო.

სახელმწიფო ვაჭრობის ჩრდილოეთ დასავლეთის განყოფილებამ დასდო ამ დღეებში ხელშეკრულება სტოკჰოლმის უდიდეს ფირმებთან სალნის მიწოდების შესახებ.

ანტანტა და გერმანია

ნახშირის მიწოდება.

ჰანოვერი. 5 ოქტომბერი. საფრანგეთის პრესა მოითხოვს უკიდურეს ზომების მიღებას გერმანიის წინააღმდეგ, ვინაიდან გაზ. „ფიგაროს“ ცნობით გერმანიამ—არ შეასრულა ნახშირის მიწოდების ვალდებულების 10 პროცენტიც, ამავე დროს ნახშირის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა სექტემბერში გამოწვეული იყო იმით, რომ გერმანიას უნდა დაემზადებია ნახშირი იტალიისთვის და შეფერხება გამოწვეული იყო ზემო სილეზიის დაყოფის გამო.

შვიდი ტყვე

ჰანოვერი. 5 ოქტომ. 3 ოქტომბერს საკონტრიბუციო კომისიამ გამოუშვა ნახევარი წლის ანგარიში, რომელიც ეხება უმთავრესად დროებით ზავის შემდეგ პროდუქტებით გადასახადების შეტანას, ფულის გადახდას და საოკუპაციო ხარჯებს. გაზ. „ენტრასიჟანს“ მოჰყავს შემდეგი ტარიფი: 30 დე—(გამოტოვებულია)... 3.130 მილ. ოქროს მარკა მოკავშირეებისათვის, 1,011 მილ. ოქროს მარკა შეერთებულ შტატებისათვის, რაც უდრის თანამედროვე კურსის მიხედვით თვიურად 214 მილ. და დღიურად 10 მილ. ფრანკს. საფრანგეთის ჟურნალისტს ჰყოფნის სინდისი გაოცება გამოსთქვას ამ ცნობობის გამო.

თეთრი წიგნი.

ჰანოვერი. 5 ოქტ. პარიზიდან იტყობინებიან, თეთრი წიგნის გამოქვეყნების შესახებ, რომელიც შეიცავს მთელ მიწერ-მოწერას საკონტრიბუციო კომისიის და გერმანიის მთავრობის შორის 1921 წლის 1 მაისიდან 1922 წლის 1 ივნისამდე.

ვივიანი და ვირტი.

რომი. 5 ოქტ. უპასუხებს რა კანცლერ ვირტის განცხადებაზე ომის დაწყების შესახებ, ვივიანი აქვეყნებს მრავალ დეპეშებს, რომელიც იგზავნებოდა გერმანიის და რუსეთის მთავრობის შორის ომის დაწყებამდე. ყველაფერი ეს იწვევს დიდ ინტერესს პოლემიკაში.

მოკავშირეთაშორისო ვალები.

ნაუენი. 5 ოქტომ. ამერიკის ბანკირ მალეგონმა მიმართა ნიუორკის ბანკირებს წერილით რომელშიც ამბობს, რომ მოკავშირეთა ვალების საკითხი სრულიად გამოუშვა მხედველობიდან საკონტრიბუციო კომისიამ, გერმანიას არ შეუძლია გადაიხადოს ის ჯამი, რომელსაც მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულება. ლებნონი მოუწოდებს ამერიკელებს საღი აზროვნებისაკენ და წინადადებას აძლევს, რომ გაუქმებულ იქნეს მოკავშირეთა ზოგიერთი ვალები; ხოლო ის ვალები, რომელიც არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს, უნდა შეერთდეს საერთო ჯამში.

სხვა და სხვა ამბები

გერმანია

ლოკაუტი.

მოსკოვი. 5 ოქტომბერი. ბერლინში გამოცხადებულია 20,000 მუშების ლოკაუტი.

აისედორა დუნკან.

მოსკოვი. 5 ოქტომბერი. ამერიკის მთავრობამ უარი უთხრა აისედორა დუნკანს ვიზაზე იმის გამო, რომ ემხრობა ბოლშევიკურ ორგანიზაციის მოძრაობა.

მუშათა შორის.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. მოძრაობა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სასარგებლოდ გერმანიაში განსაკუთრებით მოსჩანს ვესტფალიაში და შუა გერმანიში, სადაც თვით პროფკავშირების წინამძღოლების საბოტაჟსაც არ შეუძლია მისი შეჩერება გალლში და სხვა ადგილებში, ადგილობრივი კავშირები მიემხრენ მოძრაობას 20,000-დე ზემო-სილეზიის მემადაროეებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ დელეგატები ფაბრიკა ქარხნების კონგრესზე.

ფრანკფურტის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა მიიღეს რეზოლიუცია კონგრესის მოწვევის შესახებ.

სიძვირის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 5 ოქტომბერი. ბერლინში ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების მიერ მოწყობილი დემონსტრაცია სიძვირის წინააღმდეგ ჩატარდა უინციდენტოთ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 25,000 მუშამ.

საფრანგეთი

გაფიცვების ტალღები

ბერლინი, „ჰუმანიტე“ თავის წერილში „მუშები ილვიძებენ“ სწერს: „უკანასკნელ კვირეებს ახასიათებს ინტენსიური გაფიცვების მოძრაობა. გაფიცვები ედება მუშების სხვა და სხვა კატეგორიებს. გავრში გაიფიცა 12,000 კაცი მიუხედავად იმისა, რომ იქ ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშებს წარმოადგენენ 300 მილ. ვიენში და ოდენკურეში ადგილი აქვს ასეთსავე მოვლენას. ეხლანდელი გაფიცვითი მოძრაობა გვიჩვენებს პროლეტარიატის ენერგიას და სიცოცხლეს. გაფართოვებული ხასიათი მოძრაობისა ამტკიცებს, რომ ეს არ არის, ხანმოკლე ცეცხლი და რომ შესაძლებელია მასზე დაყრდნობა.

აღსანიშნავია კიდევ ისიც, რომ გაფიცულ მუშებს ყოველგან სიმპატიით ეპყრობიან.

იტალია.

სოციალისტების კონგრესი.

მოსკოვი. 5 ოქტომბერი. რომში გაიხსნა იტალიის სოციალისტების კონგრესი. მოსალოდნელია პარლამენტის სოციალისტური ფრაქციის პარტიიდან გამორიცხვა, რომელმაც არ დაემორჩილა პარტიის დირექტივებს.

ფინეთი

პრესის მოღვაწეების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. „ფინსკი რაბოჩი“-ს რედაქტორს მიუსაჯეს 3 თვის ციხე, რადგანაც მან გამოაქვეყნა ცნობები პოლიტიკურ პატიმრების ციხეში კატორღელების მიერ ცემის შესახებ.

ჩეხია

სოციალისტის დასჯა.

ჩეხიის სოციალისტური ჟურნალის რედაქტორს მიუსაჯეს 7 თვის ციხე იმისათვის, რომ მან გამოაქვეყნა წერილი სადაც არკვევდა კომუნისტების პოზიციას პარლამენტარიზმის საკითხში.

იაპონია

მოსკოვი. 4 ოქტომბერი. იაპონიის კავშირი რუსეთის საქმეებში ჩარევის საწინააღმდეგოდ დაარსებული მუშების მონაწილეობით აწყობს მოძრაობას შემდეგი ლოზუნგით: „იაპონიის პროლეტარიატი მოითხოვს თავი დაანებონ რუსეთს“ დიდ ქალაქებში მართავენ რა მიტინგებს და მოითხოვენ ყველა იაპონიის ჯარის ნაწილების მიერ რუსეთის ტერიტორიის ევაკუაციას და საბჭოთა მთავრობის ცნობას.

დახმარება დამშეულებს.

მოსკოვი. 4 ოქტომ. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორებმა დაადგინეს აწარმოონ გადარიცხვა რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად.

ნაციონალისტური მოძრაობა მესოპოტამიაში.

ბერლინი. გაზეთების ცნობებით, მესოპოტამიაში იფეთქა დიდმა ნაციონალისტურმა მოძრაობამ. სერ პერსი კოკსმა მიიღო ენერგიული ზომები მოძრაობის ჩასაქრობად. დაპატიმრებულია მრავალი საზოგადო მოღვაწენი, რის გამოც მოძრაობა დროებით ჩააქრეს. გადაასახლეს მემარცხენე გაზეთების რედაქტორები.

ირლანდიაში.

ჰანოვერი. 4 ოქტომბერი. ირლანდიიდან იტყობინებიან, რომ განახლდა შეტაკება აჯანყებულებთან.

მუშათა ცხოვრება

სპროიავაკის ქარხანა

ზოგიერთი უცხოელი ფირმები ერთობ თავგასულობას იჩენენ. ისინი თავის ქვეყანაში ნაცადი გზით ეწევიან მუშათა შორის ექსპლოატაციას სპროიავაკის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ერთობ დიდი ქარხანაა. შრომის კანონებს ეს ქარხანა გვერდს უვლის მუშებთან კოლექტიურ ხელშეკრულებას არ სდებს, შრომის ხელფას მცირეს აძლევს და მასაც არა თავის დროზე. ამ ქარხნის მუშათა მდგომარეობა პირდაპირ კრიტიკულია. შრომის ხელფასი საცხოვრებელ მინიმუმზე ძალიან მცირეა. ასეთი მცირე შრომის ხელფასიც მართებს ქარხნას მუშების. საჭიროა საბჭოთა საქართველოს შრომის კანონები აქ სავსებით იქნეს განხორციელებული. ეს ქარხანა ერთობ ძველი ქარხანაა და მის ხაზეინებს ეყოფათ ის რაც სარგებლობა ნახეს მისგან.

დ. ს.

მეტივეები

ტივების ჩამოსატანათ საკმაო ბლომათ მუშა ხელი ვმუშავობთ. განვითარების მხრივ ერთობ ჩამორჩენილი ვართ. ამიტომაც ჩვენ არც ერთ კავშირში არ ვირიცხებით და არც არავითარი უფლება ვრცელდება ჩვენზე.

ჩვენი მდგომარეობა მეტად მძიმეა ხელფასი მცირე გვაქვს. მეორე მხრივ სამუშაო პირობები ძალზე ცუდია. მთელი კვირაობით და ორ კვირაობით წყალში ვართ, ჩვენთვის არც დასვენებაა და არც დაძინება. კარგი იქნება მუშათა მოძრაობის მთავარი ორგანო ს. პ. კ. ს. ყურადღებას მიაქცევდეს და ინსტრუქტორს დაგვინიშნავდეს.

მეტივე.

სოსიფრის აქციონერული საზოგადოება

რუსთაველის პრ. № 10 არსებობს სოსიფრის აქციონერულ საზოგადოების კანტორა. ეს კანტორა შრომის კანონებს ძალიან ნაკლებ ანგარიშს უწევს. მუშა ხელს ღებულობს არა შრომის ბირჟის საშვალებით, არამედ თავის ნებით. არა აქვს მოსამსახურეებისათვის დარიგებული არც საანგარიშო წიგნაკი. ყოველივე ამის გამო შრომის ინსპექტორმა შეუდგინა სათანადო ოქმი კანონიერ სამართალში მისაცემათ.

დამსწრე.

ფურნე-თორნეში მომუშავეები

ფურნე-თორნეში მომუშავეებს განსაკუთრებულ პირობებში გვიხდება მუშაობა. ყოველ წამს ცეცხლზე ვიწვით და მტვერში ვიხურებით. მიუხედავათ ამისა, ჩვენი შრომის ხელფასი მეტად მცირეა. ზოგან არც დაწესებულ ხელფასით უსწორდებიან თავიანთ მუშებს. ფურნე თორნის მეპატრინენი გამოქნილნი არიან კანონებზე გვერდის ავლაში, მიმართავენ ათასგვარ ხრიკებს, მუშა ზოგჯერ კამპანიონათ შემოყავთ. უნდა ითქვას, ხშირათ გაუდით კიდეცა და ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენი დარგის მუშები ძალიან ჩამორჩენილია.

24 სექტ. გაიმართა ფურნე-თორნეებში მომუშავეთა საზ. კრება. გამომუშავებულ იქნა პურის გამოსაცხობი ნორმა. დაადგინეს, იქ სადაც 3 კაცი მუშაობს, უნდა ცხვებოდეს 7 ნახ. ფუთი ფქვილი. სასურველია ეს ნორმა ყველგან იქნებოდეს გატარებული. ამაზე ზრუნვა თვით ჩვენ მუშებს გვმართებს. ჩვენ ერთმანეთში უფრო მჭიდროთ უნდა შევკავშირდეთ და ფხიზელი დარაჯები ვიყვეთ ჩვენი ინტერესებისა.

მცხობელი.

ყოფილი გეინეს საკანდიტრო

ბევრი ვაჭარი ჯერ კიდევ ვერ ურიგდება საბჭოთა ხელისუფლების ახალ კანონებს. ამ მხრივ აღსანიშნავი გეინეს საკონდიტეროს ახალ ხაზეინთა საქციელი. ეს ახალი ხაზეინები შელია და კასპანია არავითარ სავალდებულო დადგენილებას არ სცნობენ. მათ მოსთხოვეს, შეეძინათ მოსამსახურეებისათვის საანგარიშო წიგნაკები. ამ მთხოვნას ანგარიში არ გაუწიეს და თავიც არ შეუწუხებიათ. აქვე მუშაობს ორი მოზარდი. ორივე შრომის ბირჟის გარეშეა მიღებული. ორივე მუშაობას არა მოზარდებისათვის დაწესებულ საათებში, არამედ ზედმეტს—7—8 საათს და კიდევ უფრო, მეტს საჭიროა ასეთი გათავხედებულ ხაზეინების სამაგალითოდ დასჯა.

კ. ხ.

არამიანცის საავადმყოფო

არამიანცის საავადმყოფოში მრეცხავი ქალები ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ. ჩვენი მუშაობის პირობები საშინელია. ყოველ მხრივ უპატრონოთ და უყურადღებოთ ვართ. ვმუშაობთ ნორმალური საათებზე მეტს, არც სხვა შეღავათი და შრომის დაცვის კანონი არსებობს ჩვენთვის.

არა გვაქვს წინსაფრები, რაც მრეცხავებისათვის მიუცილებელია. ამის გამო გვეხევა ჩვენი საკუთარი ტანისამოსი. ადგილკომს მართებს მეტი ფხიზლობა ჩვენი ინტერესების დასაცავათ.

პ. ქ.

ძუძუმწოვართა სახლი

სამხედრო ჰოსპიტალთან არსებობს ჰოსპიტალში მომუშავე მუშა-მოსამსახურეების ბავშთათვის ძუძუმწოვარ ბავშთა სახლი. ამ სახლს ინახავს მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი. სახლი მეტად უსუფთაოა, მოვლა ბავშებს არა აქვს ნორმალური და ამიტომ ბევრი ბავში კვდება. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ სახლს. თავათ ჰოსპიტალმა უნდა იკისროს ხარჯის ნაწილი. ადგილკომს ძალიან გაუჭირდება მისი სავსებით შენახვა.

მშრომელი.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარული № 188.

ყველა რაიკომებს

დახმარების იაჩეიკების მუშაობის პრაქტიკულ შედეგების და ამასთანავე დეფექტების გამოსარკვევად საქართველოს კომპარტიის თფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა გატარებულ იქნეს დახმარების იაჩეიკების დათვალიერების კვირეული, რომელიც უნდა დაიწყოს 9 სექტემბერს და შესრულებულ იქნეს შემდეგი ამოცანები:

1. შემოწმებულ იქნეს დახმარების იაჩეიკების შემადგენლობა რაოდენობის და ხარისხის მიხედვით.

2. შემოწმებულ იქნეს დახმარების იაჩეიკების მოღვაწეობა და მუშაობის უნარიანობა, ე. ი. გამორკვეული უნდა იქნეს რამდენად აქტიური იყო ესა თუ თუ ის იაჩეიკა მასიურ კამპანიის გატარების დროს, რამდენად არსებითი იყო კომიაჩეიკის დახმარება პრაქტიკულ მუშაობის დროს, რამდენად მონაწილეობდა დახმარების იაჩეიკა წარმოებებში წერა-კითხვის უცოდინარების ლიკვიდაციის და სხვა საქმეებში.

3. შემოწმებულ იქნას დახმარების იაჩეიკასთან მიმაგრებულ ხელმძღვანელის მუშაობა.

4. შემოწმებულ იქნეს რამდენად წესიერად ესწრებოდენ დახმარების იაჩეიკის წევრები კომ. იაჩეიკების სხდომებს, პოლიტ-წრეებს, პოლიტიკურ განათლების სკოლაში და სხვა.

დათვალიერების კვირეულის გატარების წესი ასეთია:

1. შემუშავებულ უნდა იქნეს დათვალიერების კვირეულისათვის რაიონებში იაჩეიკების სხდომების წესრიგი.

2. დახმარების იაჩეიკის თვითეულ სხდომას დათვალიერების კვირის განმავლობაში, საჭიროა დაესწროს რაიკომის წარმომადგენელი, ტფილისის კომიტეტის წარმომადგენელი და იაჩეიკის ხელმძღვანელი.

3. დახმარების იაჩეიკის თვითეულ სხდომაზე უნდა მოხდეს ანკეტის გარჩევა, რომლის ფორმა ამასთანავე დართული.

4. იაჩეიკების სხდომების დღის წესრიგს ადგენენ თვით რაიკომები, სავალდებულოა დღის წესრიგში შეტანილ იქნეს „ანკეტის გარჩევა“.

5. დათვალიერების დამთავრების შემდეგ უნდა იქნეს წარმოდგენილი წერილობითი მოხსენება დათვალიერების შედეგების შესახებ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი
კახიანი.

საორგანიზაციო განყოფილების
გამგე **რუბენი.**

ქ. ზუგდიდი.

25 სექტემბერს ქ. ზუგდიდში შესდგა ზუგდიდის სამაზრო პარტიული კონფერენცია. ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტიდან დაესწრო ამხ. ს. მამულაია, კონფერენცია გაიხსნა დილის 10 საათზე ინტერნაციონალით. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ. ს. მამულია, როგავა და ჩხეიძე. საპატიო თავმჯდომარეებათ: ამხ. ამხ. ლენინი, მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე. ამხ. მამულია საერთაშორისო მდგომარეობის შინაარსიანი და ვრცელი მოხსენების შემდეგ კონფერენცია შეუდგა დღიურ წესრიგების ამოწურვას. რვა თვის შემდეგ პარტიული კომიტეტის არჩევისა კონფერენციამ გადახედა პარტ-მუშაობის შედეგებს, ასწონ დასწონა ყველა მის წინაშე წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხები, გაითვალისწინა შეცდომები და გამოიმუშავა ახალი სამუშაო გეგმა. აღსანიშნავია ერთი საგულისხმო გარემოება, სახელდობრ ის, რომ, თუ წინა კონფერენციაზე ჰქონდა ადგილი ზედმეტ ლაპარაკს და ჩოჩქოლს, ეხლა კონფერენციას ემჩნეოდა უაღრესად საქმიანი ხასიათი. ადგილებიდან წარმოდგენილი ამხანაგები ყველა საკითხებს პრაქტიკული თვალსაზრისით უდგებოდნენ. ზედმეტი სიტყვას, უნიადაგო კრიტიკას და სხვა არა სასურველ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია, რაც აშკარათ მეტყველებს იმაზე, რამდენათ გაწრთვნილან და გათვითცნობიერებულან საქმიან მუშაობისათვის ჩვენი პარტიის რიგები, რომელსაც აინტერესებს საქმე და არა უშედეგო ლაყბობა, რამდენათ შეკავშირებულან და დარაზმულან ისინი. მართალია, ზუგდიდის მაზრა ყოველთვის იყო მოაზრე რევოლიუციონური, მაგრამ ერთია რევოლიუციონური სტიქია და მეორე დარაზმვა-შეკავშირება და შეხმატკბილებულად მუშაობა.

8 თვის მუშაობამ სამაზრო პარტიული კომიტეტის დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. ძველი პარტკომის შემადგენლობამ წარსულ შეცდომებზე ისწავლა სწორი გეგმით მუშაობა, რასაც ხაზი გაუსვა კონფერენციამაც და დამაკმაყოფილებლად ჩაეთვალა მისი მუშაობა. მოსმენილ იქნა აგრეთვე აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. როგავას მოხსენება საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის შესახებ, რაიც კონფერენციამ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად. დასასრულ იქნა არჩეული ახალი სამაზრო კომიტეტი—ამხ. ვ. ჩხეიძე, ქ. რაფავა, თ. საჰაია, ერ. როდონაია, ბ. თორდია, ვ. ნიკოლაიშვილი, მ. მიმინოშვილი და ი. ცხაკაია. კანდიდატებათ: ამხ. მეუნარგია, ა. გარდავა და ლუკავა. კომიტეტმა გამოყო პრეზიდიუმი 3 ამხანაგისაგან, ამხ. ამხ. როგავა, ჩხეიძე და რაფავა.

ქ. რაფავა.

თბილისის მაზრის კომიტეტის მუშაობა ივლისის და აგვისტოს თვეში.

მაზრკომის მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში შედარებით გასულ თვეებთან უფრო დამაკმაყოფილებელია. ჯერ კიდევ ივლისში და აგრეთვე აგვისტოში შესძლო ერთხელ მოეწვია პლენუმის სხდომა პასუხისმგებელი ორგანიზატორებთან ერთად სადაც გაირჩა ფრიად საყურადღებო და მაზრის გლეხკაცობისათვის საჭირბოროტო საქმე (არხის გაყვანა მარტყოფის, ყარაიაზის და სართიჭალის თემებში). აგრეთვე იქნა გარჩეული საკითხი ავჭალის თემის მდგომარეობაზე. ავჭალა შეადგენს მუშათა რაიონს და მისი რაიონათ დატოვება აუცილებელი საჭირო იყო. გარდა ამისა შეერთებული პლენუმის სხდომაზედ განხილულ იქნა თბილისის მაზრაში რაიკომების რეორგანიზაციის საკითხი და უკანასკნელების მაგიერად სათემო კომიტეტების დაარსების გეგმა. საკითხი გადაწყდა შემდეგ ნაირად: თბილისის მაზრა თუმცა საადმინისტრაციო მხრით შეიცავს 17 სათემოს, მხოლოდ პარტიულის თვალსაზრისით უკანასკნელი განაწილდა 9 საინსტრუქტორო რაიონათ. მაგალითათ: შეერთებულია საგარეჯო, სართიჭალა და გომბორი, რომელსაც ჰყავს მიჩენილი ერთი ინსტრუქტორი. სათემო კომიტეტი დაარსებულია საგარეჯოში.

მარტყოფის და ნორიოს თემი შეერთებულია, მხოლოდ დაარსებულია მარტყოფში და ნორიოში სათემო კომიტეტი და ჰყავს ერთი ინსტრუქტორ-ორგანიზატორი.

წალკა გაყოფილია ორ სათემო კომიტეტათ და ჰყავს ერთი ინსტრუქტორი.

მანგლისი და პრიუტი შეერთებულია ერთ სათემოთ, მხოლოდ თემის კომიტეტი დაარსებულია მანგლისში და ჰყავს ერთი ინსტრუქტორი.

ავჭალა და დიღომი შეერთებულია. მხოლოდ მაზრის კომიტეტის მიერ ცეკას წინაშე იყო აღძრული შუამდგომლობა, რათა უკანასკნელი დაემტკიცებიათ რაიონათ, რაც უკვე შესრულებულია და დაარსებულია რაიონული კომიტეტი, ჰყავს ერთი მდივანი და ინსტრუქტორ-ორგანიზატორი, უკანასკნელნი ხელმძღვანელობენ დიღომის სათემო კომიტეტსა.

ალბულახის თემი, როგორც ყველა თემებს დაშორებული, არ შეიძლებოდა შეერთებოდა რომელიმე თემს, ამიტომ მაზრის კომიტეტმა განსაკუთრებით აღნიშნულ თემისათვის გამოჰყო ერთი ინსტრუქტორი.

შეერთებულია ერთ სათემოთ ასურეთის და ხატის-თელეთის თემი. მხოლოდ სათემო კომიტეტი დაარსებულია ასურეთში და ჰყავს მიჩენილი ერთი ინსტრუქტორი.

ყარაიაზიც დატოვებულია ერთ სათემო კომიტეტათ და ჰყავს ერთი ინსტრუქტორი.

კოჯორში და წყნეთში თუმცა არ არის დაარსებული სათემო კომიტეტი, მხოლოდ მაზრის კომიტეტის ერთი წევრი არის მიმაგრებული და უწევს იდეურ ხელმძღვანელობას, როგორც ზემოდ აღნიშნულია, მთელ მაზრაში დაარსებულია 8 სათემო კომიტეტი და ერთი სარაიონო.

ყველა ამხანაგები, რომლებიც რაიკომების რეორგანიზაციის შემდეგ იქნენ შტატ-გარეთ დარჩენილი, გადაგზავნილია მაზრის აღმასკომში საბჭოთა აღმშენებლობის უფრო განმტკიცების მიზნით. გარდა ამისა, მაზრის კომიტეტმა, მიუხედავათ ყველა დაბრკოლებებისა, შესძლო და გაატარა პარტორგანიზაციების განმტკიცების მიზნით კომუჯრედების გამოკვლევის კვირეული. ყველა კომუჯრედებში შემოღებულია ერთიანი დღე და ყველა მაზრაში მყოფი მომზადებული კომპარტიის წევრები მიმაგრებულია კომუჯრედებზე, საერთოდ ხელმძღვანელობისათვის ყველა თემკომებზე და რაიკომზე მიმაგრებულია მაზრკომიტეტის წევრები.

აღნიშნულ საანგარიშო ხნის განმავლობაში მოხდა მაზრის კომიტეტის რამოდენიმე წევრების გადანაწილება. მაზრის კომიტეტმა ცეკას საშუალებით გაგზავნა მოსკოვის სხვა და სხვა უნივერსიტეტში 4 ამხანაგი (ორი მათ შორის მაზრკომის წევრია) სწავლის შესაძენათ.

გარდა ამისა მაზრის კომიტეტმა ცეკას საშუალებით გამოჰყო ყველა ის ამხანაგები, რომლებიც ითვლებოდნენ თბილისის ორგანიზაციის წევრებათ და მუშაობდენ მაზრის კომიტეტში, მაზრის აღმასკომში და მაზრის მილიციაში, და დაარსა მაზრის აღმასკომთან კომუჯრედი, რომელიც შედის ავჭალის რაიონში და უკანასკნელი უწევს ხელმძღვანელობას.

აგრეთვე სადგურ საგარეჯოს და თვით აღმასკომში დაარსებულია დამხმარე კომუჯრედი, სადაც უკანასკნელ მეორეში სისტემატიურათ ყოველ ხუთშაბათობით კრებები იმართება და კიდევაც ჰყავს მიჩენილი ერთი ამხანაგი, რომელიც უკითხავს ლექციებს და კომუნიზმის ანბანს. აგრეთვე ყოველ შაბათობით მაზრის აღმასკომთან იმართება საერთო კრებები, რომელსაც ესწრება ყველა წევრები და უპარტიო თანამშრომლები. კრებაზე იკითხება მოხსენებები და ლექციები სხვა და სხვა საყურადღებო თემებზე. სულ მაზრაში აღრიცხულია კომპარტიის წევრი და კანდიდატი 475, სულ არსებობს 47 კომუჯრედი, აგრეთვე აღრიცხულია ორი ავათმყოფი წევრი და ორიც დავრდობილნი. მაზრკომის მიერ ცეკას განკარგულებაში გადაგზავნილია 34 ამხანაგი პარტიულ და საბჭოთა სფეროში მომზადებულ ამხანაგების შეცვლისათვის; სულ ცეკას მიერ იქმნა მივლინებული 10 ამხანაგი, მათ შორის გაგზავნილია პარტიულ სამუშაოზედ 4 ამხ. საბჭოთა სამუშაოზე 6 ამხ. თანახმად ცეკას ცირკულიარისა, მაზრის კომიტეტმა პარტიულ ცენტრალურ სკოლაში გაგზავნა 25 ამხ., მათ შორის არიან აგრეთვე კომკავშირის წევრებიც.

პოლიტ-განათლების საქმეს მაზრაში ეტყობა გაჯანსაღება. არის ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და თეატრები, სადაც იმართება მოხსენებები და მიტინგები.

მაზრის ერთ რაიონში მანგლისში არსებობს სამხედრო დრამატიული წრე და კადაკტში მუშაობს ადგილობრივ დრამ. წრესთან. პერიოდიულათ ეს წრეები თვეში 5—6 წარმოდგენას მართავენ. სააგიტაციო საქმეს აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება, უკანასკნელ დროს ყოველ უქმე და კვირა დღეებს იგზავნებოდა მომზადებული ამხანაგები სხვა და სხვა მიტინგების და კამპანიების ჩასატარებლად. სულ ჩატარებულია მაზრაში 5 კამპანია. მიტინგებზე დამსწრეთა რიცხვი აღემატება 35-ს ათასს. მთელი ენერგია მიპყრობილია სკოლების, თეატრების და ბიბლიოკების შეკეთებას, რაც ნაწილობრივათ შესრულებულია. მარტყოფის თემში ახლად შეუდგნენ თეატრის შეკეთებას და დასახულია მიზნათ ორთქლის აბანოს გაკეთება. წერა-კითხვის არამცოდნე კომპარტიის წევრები და კანდიდატები შეადგენს უმცირესობას. მიღებულია ზომები უკანასკნელის ლიკვიდაციის მოსახდენათ.

აგრეთვე დასახულია მიზნათ ამ მოკლე ხანში ჩატარდეს მაზრის მასშტაბით კოოპერაციის მნიშვნელობის კამპანია.

ქალთა შორის მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში აღინიშნება შემდეგი მხარეებით: ქალთა განყოფილებამ შესძლო მაზრის სხვა და სხვა თემებში მოეწვია 23-ჯერ უპარტიო ქალთა კრება. დამსწრეთა რიცხვი უდრიდა 877 ქალს. აგრეთვე დასახული აქვს მიზნათ საგარეჯოში არსებულ ამხ. „კამოს“ სახელობის ბავშვთა სახლი გადმოიტანოს წყნეთის თემში.

თბილისის მაზრაში არის ერთი ქიმიური კავშირი, სადაც მუშაობს 19 ქალი.

თბილისის მაზრის ახალგაზრდა კომკავშირს მაზრის კომიტეტი უწევს ხელმძღვანელობას. წარმომადგენლობა ურთიერთ შორის მუდმივია.

ტრანსპორტზე მუშაობა მაზრის კომიტეტს თითქმის არ უხდება, ვინაიდან რკინის გზის ლიანდაგი სულ რამოდენიმე მანძილზეა და სრულებით არ არის ისეთი სადგურები, რომ იყოს დეპო და მუშაობდეს მუშები, მხოლოდ ერთს საგარეჯოს სადგურზე არის რამოდენიმე მუშა, სადაც დაარსებულია დამხმარე კომუჯრედი.

საბჭოთა სფეროში მუშაობა მიმდინარეობს შეთანხმებულად. არავითარ ქიშპობას და ინტრიგანობას ადგილი არ აქვს, ყველა ცირკულიარები და განკარგულებები თავის დროზე ტარდება ცხოვრებაში. აღსანიშნავია ის, რომ მაზრის მუშაობას უმთავრესათ ხელს უშლის რამოდენიმე ადგილებში კავშირის მოუგვარებლობა (ტელეფონი—ტელეგრაფი).

მაზრის კომიტეტი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მილიციის გაჯანსაღებას, პირადი შემადგენლობის გადასინჯვით, რაზედაც სპეციალურათ მაზრის კომიტეტის მიერ იყო დანიშნული კომისია, რომელმაც ძირიან ფესვიანათ გააძევა მილიციიდან არა სასურველი და არა საიმედო ელემენტები. ამასთან დაკავშირებით ბანდიტიზმს არც ერთ შემთხვევას არ ქონია ადგილი. ამჟამად მილიციის მდგომარეობა როგორც პოლიტიკურ, ისე ადმინისტრაციულ თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს გაჯანსაღებულათ და საიმედოთ.

მიწის საკითხი მოგვარების გზას ადგია. მაზრა გაყოფილია 2 აგრარულ რაიონებათ და ცენტრის განკარგულებით მაზრაში მიმდინარეობს მუშაობა მიწების გადასანაწილებლად. არიან ყველა რაიონებში გადაგზავნილი მიწის მზომელები, რომლებიც მუშაობენ მიწის კომიტეტებთან ერთად. გამორკვეულია იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ ზედმეტი მიწა და მცირე—მიწის მქონენიც.

მაზრის თემებში მომუშავე თანამშრომლობის ეკონომიური მდგომარეობა თითქმის გამოკეთებულია. მიღებულია ზომები მდგომარეობის უფრო გასაუმჯობესებლად.

შ. ღლეჟავა.

პროვინციაში

სოფ. მეჯვრისხევი

(გორის მაზრა)

სოფ. მეჯვრისხევი შესდგება ათას კომლისაგან. მდებარეობს საუცხოვო ალაგას. ის მთის ძირსაა გაშენებული და შუა ჩაუდის მდინარე მეჯუდა რომელიც მთელ სოფელს ორ ნაწილად ჰყოფს. გაზაფხულზე ხშირათ ადიდდება, რითაც სოფელს დიდზიანს აყენებს. სოფელს ფართო ადგილი უკავია და საკმაოთ აქვს აგრეთვე ტყე და საძოვარი მინდვრები. შუაგულ სოფელში კვირაობით იმართება ბაზრობა, სადაც გარშემო სოფლებიდან ოსებს შემოაქვთ თავიანთი ნაწარმოები და უმეტესათ საქონლის ნატურით გაცვლა-გამოცვლას ეწევიან, რის გამოც ფულის ტრიალი ბაზარზე ნაკლებია. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაური აღმასკომი კარგი შემადგენლობისაა და დიდ სახალხო საქმესაც შესდგომია: სოფლიდან სამი ვერსის მანძილზედ მოშორებით არის საუკეთესო წყარო, რომელიც სასმელათ მეტად სასიამოვნოა და მარგებელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის. აღმასკომს განუზრახავს, და ამ მხრივ რამოდენიმე ნაბიჯიც უკვე გადაუდგამს, რომ წყაროდან გამოიყვანოს მთელი სოფლისათვის მილებით წყალი რამოდენიმე დანიშნულ ადგილას და ამ გადაწყვეტილებას სოფლის მშრომელი ხალხიც დიდის აღფრთოვანებით ეგებება. კულტურული მუშაობაც წარმოებს აქ. არსებობს პირველ დაწყებითი ოთხკლასიანი სასწავლებელი, სადაც აქვთ მოწყობილი საკმაოთ მოზრდილი სცენა თვით სკოლის დარბაზში, მაგრამ ისე ტეხნიკურათაც მოწყობილი, რომ სკოლაში მეცადინეობას ხელს სრულიად არ უშლის. სცენის მოყვარენი ადგილობრივ პირთაგან შესდგებიან და მათ ხელმძღვანელობს რეჟისორი ნიკო ცინაძე, რომელიც ამ საქმეში დიდ ინტესივობას იჩენს. არსებობს აგრეთვე მომღერალთა გუნდი ადგილობრივი მშრომელი ახალგაზრდობისაგან შემდგარი, რომელსაც მშვენივრათ აქვს შესწავლილი რევოლიუციური და სხვა სიმღერები. შუა სოფელში გაშენებულია ორ სართულიანი ძალიან დიდი შენობა გვერდზე მდებარე ზვარით, დაახლოებით 5 დესიატინამდე, რომელიც ეკუთვნის ყოფილ თავად ერისთავს, აქაურ აღმასკომს და პარტკომს განზრახული აქვს შეიძინონ ეს და გამართონ სამეურნეო სასწავლებელი. იმედია აქაური ამხანაგები ამ დიად საქმესაც ენერგიულათ მოკიდებენ ხელს და წინ წაიყვანენ. აქაური მშრომელი მასსა სრული თანაგრძნობით ეკიდება საბჭოთა ხელისუფლების ნაბიჯებს, სასურსათო გადასახადის ასი პროცენტია შესრულებული. არის დეფექტებიც, რაც გამოიხატება გზების უვარგისობაში, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ აქაურ მშრომელ ხალხს დრო არ ქონდა და როგორც კი მოსავალს თავს მოუყრიან, გადაწყვეტილი აქვთ გზების შეკეთებაც.

გ. კოპლაშვილი

ქრონიკა

◆ 3 ოქტომბერს დაბრუნდა განათლების კომისარი ამხ. დ. კანდელაკი, რომელიც მოგზაურობდა დასავლეთ საქართველოში სწავლა-განათლების მდგომარეობის გამოსარკვევათ და სათანადო ცვლილების მოსახდენათ. 3 ოქტომბერსვე კომისარიც და თვით კომისიაც, რომელიც მას ახლდა, შეუდგნენ მოვალეობის ასრულებას.

◆ **საათის ისრის გადაწევის გამო** შრომის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ საათის ისრის გადაწევით ამა წლის 5—10-დან სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში სამუშაო დრო არ იცვლება.

— **შრომის უნარ მქონე მცხოვრებლები**—268,426 კაცი, მათ შორის სოფლის მუშები—193,493, ანუ—71,8 პროც. დურგლები—2450 კაც. ანუ 1,9 პრო. მჭედლები—1068 კაც. ანუ 9,40 პროც., ვაჭრები—2984 კაც. ანუ 1,2 პროც. და 67,267 ანუ 25,2 პროც.

— **ტვირთ ზიდვის საშუალება.** კამეჩები—53681, ხარები—213914, ცხენები და ჯორები—41069 და ვირები—5471.

— **ტრანსპორტის ინვენტარი.** ურმები—92106, ფურგონები — 4950, ეტლები—228 და მარხილები—13299.

— **უმუშევრების დაზღვევა.** ამ ჟამად ცენტრალური შრომის ბირჟა ამთავრებს უმუშევრებისათვის დახმარების მიცემას აგვისტოსათვის და რომ არ შეფერხდეს სექტემბერის თვისათვის დახმარებების გაცემა, წინადადება მიეცა ყველა პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს წარმოადგინონ უმუშევართა სიები, რომლებიც დაზღვეული იქნებიან სექტემბერში.

◆ **საცხოვრებელი შენობები სკოლებში.** თანახმად თბილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა საცხოვრებელ შენობების ნორმამდე შევიწროების შესახებ, განათლების სახ. კომისარიატმა განუმარტა ყველა ტეხნიკუმების გამგეებს, რომ მათ, როგორც პასუხისმგებელ თანამშრომლებს უფლება აქვთ დაიკავონ 1 ოთახი სამეცადინოდ, ნორმის გარეშე (თვითეულ ოჯახის წევრზე 25 კვ. არშინი). დარჩენილ თავისუფალ ოთახების შესახებ გამგეებმა უნდა აცნობონ შრომის სახალხო კომისარიატს რათა საჭიროების და გვარად ბინა აღმოუჩინონ სახალხო კომისარიატების თანამშრომლებს.

◆ **გადამდები სნეულებანი** ქალაქის სტატისტიკური განყოფილების ცნობით 16 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე გადამდებ სნეულებათა მოძრაობა ქალაქის საავადმყოფოებში გამოიხატა შემდეგი ციფრებით: მუცლის სახადი იყო 85, ავად გახდა 7, მორჩა 2, მოკვდა 1. დარჩა 13; პარტახტიანი სახადი იყო 4 ავად გახდა 3, მორჩა 2, დარჩა 5. შებრუნებითი სახადი—იყო 7, ავად გახდა 5, მორჩა 3 დარჩა 9; ყვავილი იყო 1, ავად გახდა 4, მორჩა 1, დარჩა 4. სკარლატინა იყო 1, ავად გახდა 2, მორჩა 1, დარჩა 2. ხოლერიანი იყო 25, ავად გახდა 4, მორჩა 15, მოკვდა 1. დარჩა 13 ავადმყოფი.

◆ **პროფ. განათლების მთავარ მმართველობის წინადადება.** პროფ. განათლების მთავარი მმართველობამ წინადადება მისცა ყველა ტეხნიკუმების გამგეებს, რაც შეიძლება საჩქაროთ მიაწოდონ შემდეგი ცნობები: 1) ტეხნიკუმის პირადი შემადგენლობის სია (თანამშრომლებისაც) შემდეგი ცნობების აღნიშვნით: ა) სტაჟი, ბ) ცენზი, გ) რა საგანს ასწავლის, დ) რამდენი გაკვეთილი აქვს კვირაში. 2) მოწაფეთა რიცხვი თითოეულ კლასში განმეორებითი გამოცდების გათავების შემდეგ; უნდა აღინიშნოს რამდენი მოწაფეა ძირითადი კლასში და რამდენი პარალელში.

◆ **მუშა ხელის მოძრაობა 29 და 30 სექტემბრის განმავლობაში** თბილისის შრომის ბირჟას მიერ აღნუსხულია 1777 უმუშ. გამოცხადება, აქედან 904 მამ. და 873 ქალ. ხელ ახალ რეგისტრაციაში გატარდა 330 კაცი უმუშევარი, აქედან 222 მამაკაცი და 108 ქალი. მუშა ხელის მოთხოვნილება იყო 136, აქედან მამაკაცისაზე—103 და ქალზე 33. გაიგზავნა სამუშაოზე 124 კ. უმუშევარი, აქედან 87 მამ. და 37 ქალი.

◆ **მუშა ძალის აღრიცხვა.** შრომის სახალხო კომისარიატის შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის განყოფილებამ მოახდინა სამაზრო შრომის დაცვის განყოფილებათა საშუალებით შრომის უნარ მქონე მცხოვრებთა 18 დან 50 წლამდე ტვირთზიდვის საშუალებების და სატრანსპორტო ინვენტარის აღრიცხვა სულ 15 მაზრაში, დუშეთის მაზრის გამოკლებით, საიდანაც ცნობები არ მოსულა მოიპოება.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

— **სამაზრო აღმასკომის ხარჯთაღრიცხვათა განხილვა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და არსდა საუწყებათა შორისო კომისია, რომელსაც ევალება სამაზრო აღმასკომის გასავალ შემოსავალის ხარჯთაღრიცხვათა განხილვა და დამტკიცება 1922 წლისათვის, რომ თავის დროზე იქნეს წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა 1923 წლისათვის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გასცა ცირკულიარული განკარგულება სამაზრო აღმასკომებისადმი, რათა ასეთები წარმოადგინონ არა უგვიანეს 20 ნოემბრისა.

— **ბელორუსების და პოლონელ ლტოლვილების ევაკუაციის გამო.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა განმეორებით წინადადება მისცა სამაზრო აღმასკომების შინაგან მმართველობის განყოფილებებს დაუყონებლივ წარმოადგინონ სიები ნამდვილი დოკუმენტებით ლტოლვილ პოლონელებზე და ბელორუსებზე, ამავე დროს განმარტებულია, რომ სამშობლოში დაბრუნება შეუძლიათ აგრეთვე იმ პოლონელებსაც, რომლებიც თუმცალა არ ითვლებიან ლტოლვილებათ, ხოლო მოიპოვეს პოლონეთის ქვეშევრდომობის უფლება და სურთ დაბრუნება. ლტოლვილები, რომლებზედაც არ იქნება წარდგენილი ცნობები ნამდვილი დოკუმენტებით, ჰკარგავენ უფასოდ გამგზავრების უფლებას.

◆ **დაიკარგა** პარტიული მოწმობა გაცემული დუშეთის სამაზრო პარტკომიდან იონა ერმილეს ძე შანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ხელოვნება

— **სუტირინის მოხსენება თეატრის შესახებ.** ორშაბათს, 2 ოქტომბერს, სახელმწიფო კონსერვატორიაში, სუტირინმა წაიკითხა მოხსენება თეატრის შესახებ. როგორც აფიშებში იყო გამოცხადებული, მოხსენება უნდა ყოფილიყო გრიგოლ რობაქიძის მოხსენების საპასუხო, მაგრამ სუტირინის მოხსენება იყო გარეშე ამისა და ის თეატრს შეეხო მარქსისტული მსოფლმხედველობით, რომელმაც ვერ შესძლო სათანადოთ გაეშუქებია მის მიერვე წამოყენებული კონკრეტი კითხვები, თუმცა შეიძლებოდა მარქსიზმის თვალსაზრისით, თეატრის შესახებ ეთქვა მეტი, რაც სამართლიანად იქნა აღნიშნული გამართულ კამათში.

— **დრამატიული სტუდიის შესახებ.** ჩვენი თეატრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დრამატიულ სტუდიას რომელსაც ყოველთვის მოკლებული იყო ის. მსახიობისათვის ბუნებრივ ნიჭთან ერთად საჭიროა კალაპოტი და ფიზიკური მოძრაობის ცოდნა, რისთვისაც მსახიობმა უნდა გაიაროს ხელოვნური, გარე სახეობის ლაბირინტი. ამიტომ ჩვენ გვინდა შევჩერდეთ აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ სტუდიაზე. ამ სტუდიის დაარსებამ სკეპტიკური შთაბეჭდილება დასტოვა და ვეჭვობდით, მას გაეკეთებია რამე, რადგან მისი მოქმედება პირველ ხანებში მაინც, ვიწრო ფარგლებში უორგანიზაციო სახეს აჩენდა. მაგრამ დღეს გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებით თითქოს ეჭვი ნახევრდება, როგორც გვპირდებიან სტუდიის მიმდინარე სემესტრში, მის მუშაობაში სახელმძღვანელოდ მონაწილეობას მიიღებენ ქართული ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო მცოდნენი. იქნება ლექციები, მეცადინეობა აკადემიური ხასიათის და სხ.

რა თქმა უნდა, სტუდია თუ იქნება თავის მოწოდების სიმაღლეზე, ქართულ თეატრს ამით ბევრი შეემატება და ყოველ შემთხვევაში ანსამბლა შეიძლება მაინც შეიქმნეს, რომელიც დღემდე ჩვენს სცენას არ ყოლია, რაც პირველი, და შეიძლება ითქვას უმთავრესია სცენისათვის.

უპირველესათ სტუდიაში უნდა იქნეს დისციპლინა და მეტი სიყვარული თეატრის, რომელიც რიცხვით არ უნდა დაემსგავსოს სოფლის სკოლას, საქმით ხელმძღვანელობა სტუდიელის მიღების დროს და მათი რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა. თუ ასე არ იქნა, თუ შერჩევით არ მოხდა სტუდიელების რიოდენობის გადიდება, ის დაემსგავსება სალაყბოს და იქიდან არაფერი არ გამოვა. ყველა მსურველისათვის ის არ უნდა იყოს ღია, თუ არ არის ამის შანსი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მაინც გვინდა დავიჯეროთ, რომ ხსენებული სტუდია შეასრულებს თავის მისიას და გახდება ქართული თეატრის შექმნის პირველ საფუძვლად.

გარეში.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ბირჟაზე

თბილისის ბირჟა

თბილის, 5 ოქტ. თბილისის სავალიუტო საქონლის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 4 ოქტომბრისათვის: ოქროს 10 მან.—1,150,000 ქაღალდის ლირა თათრ.—160,000 გირ. სტერ.—1,150,000 დოლარი, ამერიკული—260,000.

ბაქოს ბირჟა

ბაქო., 29 სექტემბერი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი.

	27 სექტ.	28 სექტ.
დოლარი ამ.	10,000,000	10,200,000
გირ. სტერ.	48,000,000	48,800,000
ფრანკი	750,000	750,000
ლირა იტ.	400,000	400,000
ლირა თათ. ქაღ.	7,600,000	7,550,000
მარკა	14,000	14,000
რუსეთის 1922 წლ.		
შემც. 100 ათ.	90	88
„ „ მეტი	90	88
„ ვალდ. 10 მილ.	—	80
შემც. ვალდებ. 5000 დ 10,000		92
ქართული	3,750	4,100
ოქ. 10 მან.	48,800,000	49,300,000
ლირა ოქრ. თათ.	39,000,000	40,000,000
ნატ. 56 სინჯ.	8,800,000	8,700,000
თუმანი	6,800,000	7,000,000
1 მან ვერც.	2,300,000	2,400,000
„ დახურდ.	1,100,000	1,100,000

განწყობილება დილიდან მტკიცე იყო, ბოლოს მოდუნებული.

ბათუმის ბირჟა

ბათუმი. 1 ოქტ. ბათომის სავალიუტო საქონლის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი: 30 სექტემბერს. ლირა თათრ. ქაღ. 155,000 160,000. ათ მან. ქართ. ბონით 7,500,000 მან. საბჭოთა ნიშნებით დოლ.—152,155 პიასტრი. გირ. სტ.—680—690 პ. თათრული ლირა ოქროს—515—525 რუსეთის ოქროს 10 მან.—640,650 პ. 20 ფრანკი—210—220 პ. 20 ლირა იტ.—130—140 პ. გერმანიის მარკა—კურსი არ არის.

ერევნის ბირჟა.

ერევანი, 4 სექტ. უცხოეთის ვალიუტის თავისუფალი კურსი ათასებში სომხური ფულის ნიშნებით: ოქროს 10 მან.—58,400. ოქროს ლირა თათრ.—52,400 ქაღალდის—8 400. ქართული ბონი—42—44. აზბონი—15 ცენტ. საბ. ნიშნები—1,06—1,1. თუმანი 7,609.

რომის ბირჟა.

რომი. 3 ოქტ. პარიზი—178,00, ლონდონი—163,425, შვეიცარია—439,40. ნიუიორკი—23,55, ბერლინი—1,25, პრაგა—72,00, რენტა—72,57. კონსოლ.—81,67.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი 4 ოქტომბ. პარიზი—58,8 ნიუიორკი—4,303. ბრიუსელი—61.72. ჟენევა—23,55. ამსტერდამი—11,355. მილანი—103 ერთი მერვედი. ბერლინი—8275,00. სტოკჰოლმი—16,65. კოპენჰაგენი—25,35. ხრისტიანია—21,5. ვენა— 310000,000. პრაგა—140,00. გელსინგფორსი—198,00. მადრიდი—29,02. ლისაბონი—20,20. ვერცხლი—35 შვიდი მეცხრედი.

პარიზის ბირჟა

პარიზი 4 ოქტ ლონდონი—58,03. ნიუ იორკი—13,19. ბერლინი—0,60. ბელგია— 93,90. ისპანია—199,75. ჰოლანდია—511,00. იტალია—56,20. შვეიცარია—246,50.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 54.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

უსასყიდლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შეცვლის შესახებ.—

გადასახადთა წესდების სათანადო მუხლებისა და უსასყიდლოდ გადასული ქონების კანონიერი შეფასების წესის შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატთა საბჭო ადგენს:

1. ქალაქად მდებარე უძრავი ქონების კანონიერ შეფასებად უნდა ჩაითვალოს სპეციალური შეფასება, რომელსაც მოახდენს რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგე ქონების ღირებულების ცნობების მიხედვით ამა შეფასების დღისათვის.

2. სოფლად მდებარე უძრავი ქონების კანონიერ შეფასებად უნდა ჩაითვალოს შეფასება, რომელსაც მოახდენს სარაიონო საგადასახადო განყოფილების გამგე, შენობებისა და ცოცხალი და უსულო ინვენტარის ღირებულების ცნობების მიხედვით ამა შეფასების დღისათვის.

3. უსასყიდლოდ გადასული ქონების ბაჟი, რომელიც შეტანილ არ იქნება ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე და რომელიც 10,000 მანეთს არ აღემატება, მოეხსნას დაინტერესებულ პირთ და აღარ გადაჰხდეს.

4. საურავი უსათუოდ გადასული ქონების ბაჟის თავის დროზე ხაზინაში შეუტანლობისათვის იანგარიშება თვიურად საბაჟო თანხის ათი პროცენტის რაოდენობით; ამასთანავე არა სრული თვე ჩაითვლება სრულ თვედ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ა. ხალარიძე.**

1922 ოქტომბრის 1.

ტფილისი-სასახლე.

ბრძანება

ს. ს. ს. რ სახალხო გან. კომისარ. სასწავლებლის ყველა გამგეებს.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო განყოფილების დადგენილება ბინის ნორმის შესახებ ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებულ ბინებში მცხოვრებ მოსამსახურეებზე.

ამ დადგენილების მიხედვით ოჯახის თვითეულ წევრზედ ნავარაუდევია 25 ოთხკ. არშინი; გარდა ამისა სასწავლებლის გამგეს, როგორც პასუხისმგებელ მოსამსახურეს, უნდა მიეცეს ერთი ზედმეტი ოთახი სამაცადინოთ.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ დაუყონებლივ გვაცნობოთ რამდენი თავისუფალი ოთახი დარჩება თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელთან არსებულ ბინებში, რათა აღნიშნული ოთახები განათლების კომისარიატმა მიიღოს აღრიცხვაზე და საჭიროების და მიხედვით დაუთმოს თავის თანამშრომლებს.

სახალხო განათლების კომისარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

პროფ. განათლების მთავარ მმართველობის გამგე **ნ. მგელაძე.**

ცირკულიარი

ს. ს. ს. რ. სახ. გან. კომის. ყველა ტეხნიკუმის გამგეებს.

სახალხო განათლების კომისარიატში შემოსული ცნობებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ შრომის სკოლებს მოუხდენიათ გამოცდები შრომის სკოლის კურსის ცოდნის მოწმობაზე სექტემბერში. თანახმად არსებული დებულებისა ამგვარი გამოცდები კი ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაისში.

გაუწყებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ ამგვარი მოწმობები მიიღოთ ტეხნიკუმში, თუ თავისუფალი ვაკანსია აღმოჩნდება, მოწაფეები მხოლოდ კოლლოკვიუმების ჩაბარების შემდეგ, ის მოწაფეები კი, რომლებსაც ამავე სექტემბერში კლას გამოშვებით ჩაუბარებიათ მოწმობაზე ზემოაღნიშნული გამოცდები, არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა იქნენ მიღებული.

პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობის გამგე **ნ. მგელაძე.**

მდივანი **ა. მიქელაძე.**

ცირკულიარი

ყველა განათლების განყოფილების გამგეებს.

ტეხნიკუმში უკვე ადგილი აქვს ისეთს შემთხვევებს, რომ შრომის სკოლებში სწავლა დამთავრებულნი ადგენენ კურსდამთავრების მოწმობებს ზოგ-ზოგ საგნებში არა საკმაოო დამაკმაყოფილებელ ნიშნებით და თხოულობენ მიღებულ იქმნენ ტეხნიკუმებში. ამიტომ ს. გ. კომისარიატი გთხოვთ გასცეთ განკარგულება ტეხნიკუმების გამგეებს, რომ მათ მიიღონ ტეხნიკუმებში ასეთი მოწაფეები იმ აუცილებელ პირობით, რომ ორი თვის განმავლობაში ჩააბარონ კოლოკვიუმები იმ საგნებში, რომლებშიც მათ სუსტი ნიშნები აქვთ.

პროფ. განათ. მთავარ მმართველ. გამგე **ნ. მგელაძე.**

მდივანი **ა. მიქელაძე.**

უწყებანი

პარტიული

ნიკოლოზ ირაკლის ძე კალანდაძე აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს ძვირფასი

დედის ატატოს

გარდაცვალებას სოფ. ხიდისთავში (გურია) 4 ოქტომბერს.

მიმდინარე წლის თორმეტ ოქტომბრისათვის დანიშნულია

საქართველოს კომუნისტურ პარტიის

საოლქო, სამაზრო და საქალაქო კომიტეტების საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეობის თათბირი ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების პროფკავშირთა საბჭოს, რკინის გზელთა პროფკავშირთა.

2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) ც. კ. საag. საპროპ. განყოფილების მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ, 4) პოლიტ. განათლების მთავარი მართველობის მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ, 5) მეთოდები, ფორმები და ძირითადი ამოცანები საგიტ. საპროპაგანდო მუშაობისა, 6) პოლიტიკურ განათლების მუშაობის მეთოდები, ფორმები და მორიგი ამოცანები, 7) ახალგ. კომუნ. კავშირში საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა, 8) საორგანიზაციო საკითხები.

დელეგატები უნდა ჩამოვიდნენ თავის დროზე ც. კ. საag.-საპრ. განყოფ.

(5—5) ც. კ. საგიტაციო საპროპაგანდოგანყოფილება.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს
პარასკევს, 6 ოქტომბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში „კომუნალური მეურნეობა ქ. ტფილისში“.
დაბეჭდილი იქნება გაზეთებში და დაეგზავნება ყველა რაიონ
(3—3) ტფილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი**

ისტორიის შესასწავლად

ბიურო სთხოვს პარტიის ყველა ძველ წევრებს მიიღონ აქტიური
ლეობა ამის მუშაობაში. გზავნონ მის განკარგულებაში მყოფი მასალ
გონების, მემუარების, მონოგრაფიების და სხ. სახით.

ბიურო ფიქრობს გამოსცეს მთელი რიგი პერიოდულ კრებულ
რომელიც შეეხება ქ. ტფილისის კომუნისტურ ორგანიზაციების ისტ
სხვა და სხვა მომენტებს.
(5—3) პარტიის ისტორიის ბიურ

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი აცხადებს, რომ შ
7 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ტფილისის კომიტეტის ბინაზე (
ველის პროსპ. № 22) დანიშნულია

ქ. ტფილისში მყოფ პოლონელ-კომუნისტების საერთო საქალაქო კ

ყველა პოლონელ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.
(2—1) ტფილისის კომიტეტის მდივანი—**კახიან**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპრო
დო განყოფილება აცხადებს, რომ მუშათა ფაკულტეტის რუსულ ვან
ლებაზე მიღება

შეწყვეტილია, ხოლო ქართულზე—გრძელდება.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილე
(2—1) გამგე— **მ, ეხს**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპრ
დო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომლები
გებენ პოლიტიკურ წრეებს გამოცხადდენ

**საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების სხდომაზე, შაბათს, დღ
საათზე.**

დღის წესრიგი: ანგარიში ხელმძღვანელების მუშაობისა, შემდეგ
შაობის გეგმა სკოლებში და იაჩეიკებში. კრება მოწვეულია მესამეჯ
რაიკომებს ევალებათ მიიღონ აქტიური ზომები, რომ წრეების ხელმძ
ლები გამოცხადდენ ამ კრებაზე.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფი

პროფესიონალური

ორშაბათს, 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირების ს
დიდ დარბაზში (შესავალი ბარიატინსკის ქუჩიდან) შესდგება:

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულ პლენუმის სხ
კავშირების ცენტრალურ გამგეობების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტ
და ადგილკომების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება სრულიადრუსეთის მე-5 ე ყრილობის მუშაობის შეს
(ამხ. ნუცუბიძე), 2) დედობრივობის და ბავშობის დაცვის შესახებ—(
მარკოსოვი), 3) მიმდინარე საქმეები საკითხების მნიშვნელოვანობის
წინადადება ეძლევა ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს აც
როგორც პლენუმის წევრებს, ისე ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებ
ადგილკომებს, აღნიშნულ სხდომაზე დასწრების აუცილებლობის შ
საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის მდივანი **გუჯეჯ**
3—1

სარედაქციო კოლეგია

განცხადებანი

ვარლამი, კოლა, აგრაფინა, ნატაშა, თამარა, მარუსა და ვენერა
ლანდაძეები აუწყებენ თავიანთ მეგობრებს ძვირფას

დედის **ატატოს**

გარდაცვალებას ს. ხიდისთავში (გურია) 4 ოქტომბერს.
(389—1—1)

გაზეთის ტრესტის პროვინციალუ
კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიე
კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც
საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს
სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონ
აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყო
ლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პას
გებაში. (0—31)

ქალ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტ
გადასახადთა

ბ ი უ რ ო

აცხადებს,

რომ შაბათს, 7 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ა
მასკომის შენობაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ბაგზედ მდებარე ჰოდვოდნი შეს. № 6.

კანდიციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანც
რიაში მე-50 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგესთან.
(კრ. 375—2—1)

თბილისის მე-6 რაიონის სახალხო მოსამართლ
იწვევს თავის კამერაში მემკვიდრეებს გარდაცვალებულის სიმონ აბრ
მელიქ ბლახვერდოვის დანაშთ ქონებაზე ორი თვის განმავლობაში დ
გამოქვეყნებისა.
(390—1—1) სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

დაკარგე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდ
ცემული პირადობის მოწმობა და სალექც
გნაკი № 5075. ჩაითვალოს გაუქმებულად. სილიბისტო მაქსიმეს ძე ყ
(388—1—1

დაკარგე საქართველოს კომუნისტურ პარტიის ც
ლურ კომიტეტის ქალთა გან—ში პატარ
პორტფელი პირადობის მოწმობით № 3516, აგრაფინა ეფრემი ჯალ
ასულის სახელობაზედ რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. (391—1

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.